ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 2 მაისი, 2018 №102 (7647) ფასი: 50 თეთრი

მამუკა გამყრელიძე: „სრულიად ახალი სააკაშვილი ვიხილეთ – გამხდარი, სპორტული და მშვიდი“

გვ.4

19 აპრილიდან
120 ამბავი
ალექსანდრე მაკედონელი

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

„კვირიკაშვილი თანამდებობის შესანარჩუნებლად „ოცნებას“ აშანტაჟებს“

გვ.2

გოჩა მირცხულავა: „ერთ-ერთ მინისტრზე უკვე შეგროვებულია კომპრომატები, რომლებსაც პრემიერის მითითების შემდეგ გამოაქვეყნებენ“

„ივანიშვილმა პარტიისა და ქვეყნის საერთო პოლიტიკური პროცესის ჩიხიდან გამოყვანის ბოლო შანსი ხელიდან გაუშვა“

გვ.3

რატომ გაუშვეს „ოცნების“ პოლიტსაბჭოდან ბესელია და სესიაშვილი

თბილისში, პარლამენტის შენობასთან, ორი ახალგაზრდა დაჭრეს

გუშინ, 1 მაისს, საღამოს, თბილისში, პარლამენტის შენობასთან, ორი ახალგაზრდა დაჭრეს. არსებული ინფორმაციით, ერთ-ერთი არასრულწლოვანია. ვრცელდება ინფორმაცია, რომ მას ცივი იარაღით ჭრილობები, სავარაუდოდ, თანატოლმა მიაყენა.

აღნიშნულ ტერიტორიაზე მობილიზებულნი იყვნენ ექსპერტ-კრიმინალისტები და სასწრაფო დახმარების ბრიგადები.

დაშავებულები საავადმყოფოში გადაიყვანეს.

სპორტი

გვ.7

შსს-მ საკირის ტყის ხანძარზე გამოძიება დაიწყო

გიორგი გახარია: „საპატრულო პოლიცია არა მხოლოდ მართლწესრიგზე, არამედ ჩვენი მოქალაქეების კომფორტზეც ზრუნავს“

გვ.3

რამაზ საყვარელიძე: „მარგველაშვილმა მოახერხა, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტი ჩრდილში არ ყოფილიყო“

ეკონომიკა

გვ.6

„49.829 მსესხებელს რეფინანსირებაზე მიბმულ სესხზე საპროცენტო განაკვეთი არ შეეცვლება“

მამუკა ბახტაძე: „ევროპის საინვესტიციო ბანკი სრულად უჭერს მხარს ჩვენ მიერ ინიცირებულ რეფორმას“

საქართველოში დიზელის საწვავის ყველაზე დიდი მომწოდებელი აზერბაიჯანია

ISSN 1987-9385

4 მერია საზოგადოებრივი ტრანსპორტის განახლებულ მარშრუტებზე მუშაობს

5 ვახტანგ მაისაია: „საქართველოს ნატოში მაპის გარეშე არ მიიღებენ“

6 „სესხების გადამხდელუნარიანობის შეფასების მიხედვით გაცემა საპროცენტო განაკვეთებს შეამცირებს“

5 ფინანსური პირამიდის მორიგი საფრთხე

„კვირიკაშვილი თანამდებობის შესანარჩუნებლად „ოცნებას“ აშანტაჟებს“

გოჩა მირცხულავა: „ერთ-ერთ მინისტრზე უკვე შეგროვებულია კომპრომატები, რომლებსაც პრემიერის მითითების შემდეგ გამოაქვეყნებენ“

შორენა მარსაგიშვილი



ვის გამოაქვს მმართველი პარტიის ჯეიუარებიდან ინფორმაციები, რა ხდება რეგიონებში, რა აღარა გიორგი ჯვარიჯაშვილმა, რისი გაკეთება შეუძლიათ დეპუტატებს მის წინააღმდეგ, რა შემთხვევაში დაკარგავს ახრს პოლიტიკაში ივანიშვილის დაბრუნება? – ამის შესახებ „ახალ თაობას" ანალიტიკოსი გოჩა მირცხულავა ესაუბრება.

– მთავრობის მეთაურმა გიორგი კვირიკაშვილმა, რომელიც ამავე დროს მმართველი პარტიის თავმჯდომარეც არის, განაცხადა, რომ „ქართული ოცნება“ გრძელვადიანი პერსპექტივისთვის, როგორც ინსტიტუცია, ვერ ჩამოყალიბდა. ცოტა უცნაურად არ გეჩვენებათ, როცა მმართველი პარტიის თავმჯდომარე ამას ამბობს?

– გიორგი კვირიკაშვილის ეს შეფასება ყველა იმ განცხადებას აჭარბებს, რომლებიც ბოლო დროს „ქართული ოცნების“ პარტიული ლიდერებისგან მოგვისმენია. ერთკაციანი პარტიების ლიდერებიც კი არ ამბობენ იმას, რომ მათი პარტია ვერ შედგა. როცა მმართველი პარტიის თავმჯდომარე, რომელიც ამავე დროს ქვეყნის პრემიერიცაა, ასეთ განცხადებას აკეთებს, ეს არის მმართველი ძალის ყველაზე დიდი მარცხი.

ამავე განცხადებაში კვირიკაშვილი ამბობს, რომ პარტია ვერ შედგა და ამიტომ არის კარგი ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნება. ამ დღეებში გამოჩნდება ნათლად, თუ რისთვის დაბრუნდა ყოფილი პრემიერი პარტიაში.

მან „ქართულ ოცნებას“ თუ არ ჩამოაცილა ის პირები, რომლებმაც ამ წლების მანძილზე პარტიის ჩამოყალიბება ვერ შეძლეს, პარტიულ თანამდებობებზე თუ დატოვებს გიორგი კვირიკაშვილს, კახა კალაძეს და ირაკლი კობახიძეს, ეს იქნება ყოფილი პრემიერის მხრიდან ფასადური მოსვლა.

ამ შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია იმის თქმა, რომ ივანიშვილი მხოლოდ იმიტომ დაბრუნდა, რომ „ოცნებაში“ ეგზალტირებული პერსონები ღობესთან მიაბას და დაამშვიდოს. წინააღმდეგ შემთხვევაში მან უნდა დაიწყოს შიდაპარტიული რეფორმა და „ოცნებიდან“ ის ხალხი გაუშვას, რომელთა წყალობითაც, გიორგი კვირიკაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, პარტია ვერ შედგა.

პარტიის მართვაში ერეოდნენ სუსის კონკრეტული თანამდებობის პირები. ისინი საკუთარ უფლებამოსილებებს იყენენ გაცილებული და ძალაუფლებიდან გამომდინარე ერეოდნენ არა მარტო პერსონების დონეზე პარტიის ფორმირებაში, არამედ მონაწილეობდნენ პარტიის გარეთ მისაღებ გადაწყვეტილებებშიც.

ყოფილმა პრემიერმა ერთხელ და სამუდამოდ ეს მიმართულებაც უნდა დააცხროს, თუ უნდა, რომ დასავლური ტიპის პოლიტიკური პარტია მიიღოს. ამის გაკეთება ძალიან რთული იქნება.

– ივანიშვილი თუ ყველაფერ იმას გააკეთებს, რაც თქვენ თქვით, რატომ გართულდება „ოცნების“ დასავლური ტიპის პარტიად ჩამოყალიბება?

– არის ძალიან სერიოზული პრობლემა – არ არის იდეოლოგია, რომლის გარშემოც მთელი პარტია გაერთიანდება. შექმნის დღიდან, როცა „ოცნება“ ჯერ კიდევ კოალიცია იყო, მის შემადგენლობაში სხვადასხვა იდეოლოგიის მატარებელი ადამიანები შედიოდნენ. „ქართული ოცნება“ გახლდათ რაღაც ეკლექტური წარმონაქმნი. სახელისუფლებო ძალაში ეს ეკლექტიკა ახლაც შეიმჩნევა. „ოცნების“ წევრებს არ გააჩნიათ არანაირი პოლიტიკური ამბიციები ქვეყნის მართვასთან დაკავშირებით. მათ მხოლოდ მერკანტილური ინტერესები ამოძრავებთ. ისინი პოლიტიკასა და პარტიაში პირადი ამბიციების დასაკმაყოფილებლად არიან მოსული.

კვირიკაშვილმა დეგრადაციის პირამდე მიიყვანა არა მხოლოდ „ქართული ოცნება“, არამედ ამ პარტიიდან გამოსული პერსონებით დააკომპლექტა თვითმმართველობები. ამის გამო დღეს თვითმმართველობებში ძალიან ცუდი სურათი გვაქვს.

– ცუდ სურათში რას გულისხმობთ?

– არათუ იდეოლოგიურ, არამედ პარტიულ კუთვნილებასაც კი ვერ პოულობენ მერები, საკრებულოს თავმჯდომარეები თუ საკრებულოს რიგითი წევრები. მათაც აქვთ მერკანტილური ინტერესები და ყველაზე მთავარი – ისინი არიან სუსისა და კვირიკაშვილის ყურმოჭრილი მონები.

ჩვენ გვაქვს არაერთი კონკრეტული ფაქტები, როცა საკრებულოს წევრები კორუფციულ გარიგებებში შედიან. ჩვენ გვაქვს კონკრეტული ფაქტი იმისა, რა გააკეთა სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორმა არჩევნების დროს. მან საკუთარ თანაპარტიელებს ობსტრუქცია მოუწყო. მეტსაც გეტყვით, მან დეპუტატ დანელიას წინააღმდეგ მიტინგიც კი გამართა.

აბაშის რაიონში კანდიდატად გელა ხოშტარია იყო დასახელებული. ეს ხოშტარია არ მოიაზრებოდა გუბერნატორის ფავორიტად. გუბერნატორს ბევრი არ უფიქრია და პოლიციის უფროსს მოაწყობინა მიტინგი.

შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა თავხედი შეიძლება იყოს პოლიტიკური თანამდებობის პირი, ამ შემთხვევაში გუბერნატორი, რომ მან საკუთარ თანაპარტიელებს მოუწყოს ობსტრუქცია.

ამ ყველაფრის უკან რომ გუბერნატორი შონია იდგა, ეს ცნობილი იყო „ოცნებისთვის“, მათ შორის, კვირიკაშვილისთვის და კალაძისთვის. ამის მიუხედავად, მომხდარის გამო შონიასთვის ყური არავის არ აუწევია.

შონიასთვის ყური არც იმ გარიგებისთვის აუწევიათ, რაშიც ის მარტვილის გამგებელთან შევიდა.

– რა გარიგებაზეა საუბარი?

– გარიგება შედგა მაშინ, როცა გუბერნატორმა მარტვილის გამგებელი დატოვა თანამდებობაზე. ამით შონიამ ხელი პირდაპირ თბილისის მერს შეაწმინდა, თითქოს მარტვილის გამგებლის ფეხბურთელმა შვილმა სთხოვა კალაძეს, გრიგალავა თანამდებობაზე დაეტოვებინა.

გრიგალავასთან დაკავშირებით არის კონკრეტული ინფორმაციები, თუ როგორ ახდენდა ის ივანიშვილის ოჯახის დისკრედიტირებას და ამით რაღაც თანხებს შოულობდა. ხელისუფლებამ ესეც იცის, მაგრამ ამაზეც დუმს.

საშინელი სიტუაცია გვაქვს სენაკში, უსაშინლესი ვითარებაა ზუგდიდში. კორუფციული გარიგებების დროს, გუბერნატორი შონია ზევით წასაღები ფულის ადრესატად პირდაპირ ასახელებდა ალავიძეს.

– რომელ ალავიძეს?

– ინფრასტრუქტურის მინისტრი რომ იყო. მიდიოდა თუ არა ეს ფული ალავიძემდე, ეს სუსმა, შსს-მ და პროკურატურამ გაარკვიოს.

– ვის ეუბნებოდა გუბერნატორი, რომ ზევით წასაღები ფულის ადრესატი იყო ალავიძე?

– ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს. ამას ყველა მერი გეტყვით. სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი როცა რაიმე საკადრო გადაწყვეტილებას იღებდა, მაშინაც ალავიძის პერსონას ასახელებდა.

ვთქვი, რომ კვირიკაშვილმა დაანგრია პარტია და უპასუხისმგებლობა გამოიჩინა რეგიონებში კადრების დაკომპლექტებისას. თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ ხშირად ამბობენ, რომ მათ კონკრეტული კადრების დანიშვნაზე რეკომენდაციას აძლევს სუსი.

ასეც რომ იყოს და ვთქვათ, სუსი იძლეოდეს რეკომენდაციას, ამაზე საუბარი შეიძლება? წარმოგიდგენიათ, როგორი იდიოტი მერები ჰყავს „ქართულ ოცნებას“, რომ ამას ამბობენ?!

სუსის ფაქტორზე იმიტომ ამახვილებენ ყურადღებას, რომ იძულების მომენტს უსვამენ ხაზს და იმაზეც მიუთითებენ, რომ სუსთან დაახლოებული პირები არიან და მათ ხელს არავინ მოკიდებს.

ივანიშვილის ამოცანა არის საკმაოდ რთული. მხოლოდ კონკრეტული პირების დამშვიდებით ვერ შეძლებს ის სიტუაციის დაჭერას. ეს სიმშვიდე შეიძლება მხოლოდ

2-3 თვე გაგრძელდეს. რადიკალური გადაწყვეტილებები თუ არ მიიღო, „ოცნება“ საპრეზიდენტო არჩევნებამდეც ვერ მიაღწევს.

მან პარტიის მართვა იმ ადამიანებს უნდა ჩააბაროს, რომლებსაც კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტა შეუძლიათ და არა იმ ადამიანებს, რომლებიც კორუფციულ გარიგებებში იმყოფებოდნენ და იმყოფებიან მერებთან და გუბერნატორებთან.

კვირიკაშვილის აღიარება, რომ პარტია ვერ შედგა, „ქართული ოცნებისთვის“ ზურგში დანის ჩაცემაა. ამ წუთას ის ცდილობს, რომ შანტაჟით შეინარჩუნოს პრემიერის პოსტი.

თანამდებობის შესანარჩუნებლად იყენებს ის ანაკლიის პორტის პროექტს და ამ პროექტისთვის მოსაზიდ ინვესტიციებს. ანაკლიის პორტი მნიშვნელოვანი პროექტია, მაგრამ არა მგონია, ივანიშვილი ისე გაბრიყვდეს, რომ კვირიკაშვილის ასეთ შანტაჟს დაექვემდებაროს.

ამავდროულად ძალიან ღიად მინდა ვთქვა „ქართული ოცნების“ გასაგებად – ვინ ებრძვის პარტიაში ერთმანეთს, ვინ ამზეურებს ერთმანეთზე კომპრომატებს, ეს ძალიან კარგად ვიცით.

– ვინ ამზეურებს კომპრომატებს?

– ნაციონალური მოძრაობა და სხვა ოპოზიცია რომ ამას არ აკეთებს, ეს ცხადზე ცხადია. ამას აკეთებენ თავად მეოცნებეები. ამ პროცესში ჩართული არიან სხვადასხვა პიარჯგუფები, რომლებიც ემსახურებიან ხელისუფლებას. ამ პიარჯგუფებს ცალკეული ბანკების ხელმძღვანელები უხდიან შავ ფულს.

– რაში უხდიან ფულს?

– მთავრობის ამა თუ იმ წევრის დისკრედიტირებისთვის.

– ამის შესახებ ხელისუფლებამ არაფერი იცის?

– როგორ არ იცის. რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, ამ ეტაპზე ერთ-ერთი მინისტრის წინააღმდეგ უკვე დადებულია საკმაოდ სოლიდური მასალები, რომლებიც კვირიკაშვილის მითითებით გამოქვეყნდება მედიაში.

კიდევ ერთხელ ვამბობ, ამ მანკიერ სქემაში ჩართულები არიან კვირიკაშვილი და ბანკების მფლობელები.

მთავრობის მეთაურის ავტორობით შეიქმნა ეს მახინჯი სისტემა. ის არის ავტორი მახინჯი საკადრო პოლიტიკისა და ამ დროს ეს ადამიანი ამბობს, რომ „ქართული ოცნება“, როგორც პარტია, ვერ შედგა.

ამაზე პირველ რიგში ის აგებს პასუხს. მას უკვე უნდა დაეტოვებინა თანამდებობა, მაგრამ ამას არ აკეთებს. მეტიც, როგორც უკვე გითხარით, ის შანტაჟის გზით ინარჩუნებს თანამდებობას.

მივმართავ საქართველოს პარლამენტის წევრებს, ვისაც გულის შესტკივა საქართველოზე და მის მომავალზე. ჩაიხედონ კანონში და ნახონ, რომ 60 პარლამენტარი საკმარისია იმისთვის, რომ პრემიერ-მინისტრი გადაყენებულ იქნას თანამდებობიდან.

პრემიერის სიჯიუტე – წავა თანამდებობიდან თუ არ წავა – არაფერს არ ნიშნავს. მისი გაშვება პარლამენტს შეუძლია. ქვეყანას თუ სჭირდება, პრემიერი უნდა გაუშვან. კვირიკაშვილმა ქვეყანასაც გაუცრუა იმედები და პარტიასაც.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

რატომ გაუშვეს „ოცნების“ პოლიტსაბჭოდან ბესელია და სესიაშვილი

არმაზ ახვლედიანი: „ივანიშვილმა პარტიისა და ქვეყნის საერთო პოლიტიკური პროცესის ჩიხიდან გამოყვანის ბოლო შანსი ხელიდან გაუშვა“

შორენა მარსაგიშვილი

„ქართული ოცნების" პოლიტსაბჭოს ახალი შემადგენლობის გამოცხადების შემდეგ მეოცნებეებს ბიძინა ივანიშვილის დაბრუნებით გამოწვეული სიხარული სრულად გაუქრათ. პოლიტსაბჭოში, სამდენიმე ადამიანის გარდა, არავინ შეუცვლიათ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პარტიაში ბევრი არაფერი შეიცვლება.

„ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს ყოფილი წევრის, არმაზ ახვლედიანის, აზრით, ივანიშვილმა ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის შანსი ხელიდან გაუშვა.

– „ოცნების“ პოლიტსაბჭოს „განახლებამ“ საბოლოოდ ცხადყო, რომ ივანიშვილმა ხელიდან გაუშვა პარტიისა და ქვეყნის საერთო პოლიტიკური პროცესის ჩიხიდან გამოყვანის ბოლო შანსი, – წერს არმაზ ახვლედიანი ფეისბუქის საკუთარ გვერდზე.

პოლიტსაბჭოს შემადგენლობის გამოცხადებამდე მეოცნებეებს თავზარი პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა დასცა. მან საჯაროდ განაცხადა, რომ 41-იანელების ნებიერა „ქართული ოცნება“, როგორც პარტია, ვერ შედგა.

მისი თქმით, ამ ურთულეს ჟამს პარტიას ივანიშვილი მოევლინა მხსნელად.

– ძალიან კარგია პარტიისთვის, რომ ბიძინა ივანიშვილი თავმჯდომარე ხდება. ეს პარტიის გაძლიერებას ხელს შეუწყობს. საერთოდ, სამწუხაროდ, დღემდე თვითონ პარტია, როგორც ინსტიტუცია, „ქართული ოცნება“ ვერ ჩამოყალიბდა გრძელვადიანი პერსპექტივისთვის, ვერ მოემზადა.

ძალიან კარგია, რომ პარტია გაძლიერდება და უკვე არჩევნებიდან არჩევნებამდე მთლიანად ამ ციკლის განმავლობაში იმუშავებს უფრო აქტიურად. ეს ქვეყანაში დემოკრატიის განვითარებასაც შეუწყობს ხელს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, იმიტომ რომ 2024 წლისთვის ჩვენ უნდა მოვემზადოთ უკვე განვითარებული პარტიების სისტემით, ინფრასტრუქტურით, რაც საპარლამენტო რესპუბლიკაზე გადასვლისთვის იქნება უაღრესად მნიშვნელოვანი, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

მთავრობის მეთაურის თქმითვე, პოლიტსაბჭოს შემადგენლობაში აუცილებლად იქნებოდა ცვლილებები. ამ ცვლილებებს მთელი საქართველო მოუთმენლად ელოდა. პოლიტსაბჭოს რამდენიმე სავარაუდო შემადგენლობაც დასახელდა.

ექსპერტებისა და პოლიტიკოსების ნაწილი მიიჩნევდა, რომ განახლებულ პოლიტსაბჭოში ირაკლი კობახიძეს, კახა კალაძესა და გიორგი კვირიკაშვილს ვერ ვიხილავდით. „ოცნებაში“ მიმდინარე დაპირისპირება სწორედ მათ გამო დაიწყო. კვირიკაშვილს კალაძე-კობახიძის დაჯგუფებამ ომი გამოუცხადა. მოლოდინმა არ გაამართლა, სამი „კ“ პოლიტსაბჭოს შემადგენლობაში დარჩა.

პოლიტსაბჭოში, წესით, არც მამუკა მდინარაძე უნდა ყოფილიყო. „ოცნებიდან“ გამოჟონილი ინფორმაციის თანახმად, მეორედ მოსულმა ივანიშვილმა პოლიტსაბჭოს სხდომაზე მდინარაძეს ჰკითხა, უკაცრავად, თქვენ აქ საიდან მოხვდითო.

ამ დღეებში ყოფილმა პრემიერმა, ეტყობა, გაიგო, რომ მდინარაძე კახა კალაძის პროტეჟე იყო და საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ პოლიტსაბჭოში ადგილი შეინარჩუნა.

ყველაზე დიდი მოულოდნელობა დავით საგანელიძის დარჩენა იყო. საზოგადოებისა და „ოცნების“ დიდი ნაწილი ამ ადამიანის მიმართ უარყოფითად არის განწყობილი. სხდომის დაწყებამდე საგანელიძემ განაცხადა, რომ პოლიტსაბჭოს დატოვებდა. მან დანაპირები არ შეასრულა. ამბობს, რომ თანაპარტიელებმა არ გამოუშვეს.

– პოლიტსაბჭოს ყველა წევრმა, პრემიერმა, პარტიის მომავალმა თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილმა ბრძანეს, რომ არანაირი ინტერესთა კონფლიქტი არ არის პოლიტსაბჭოს წევრობასა და ფონდის თავმჯდომარეობასთან დაკავშირებით. იყო მოსაზრება, რომ დიდი გამოცდილება მაქვს პოლიტიკური ცხოვრების, არა მარტო „ქართული ოცნების“ პერიოდში, არამედ მანამდეც, მოგეხსენებათ, 16 წელი პარლამენტის წევრი ვიყავი და ეს წაადგება პარტიას, – განაცხადა საგანელიძემ.

პოლიტსაბჭოს შემადგენლობა 15 კაცამდეა შემცირებული. იქ ზვიად გოგაძე, რომან კაკულია, თემურ ჭკუასელი, ირაკლი სესიაშვილი, სოფო კილაძე, ეკა ბესელია, გედი ფოფხაძე, ზვიად კვაჭანტირაძე, ირინა ფრუიძე, დავით კოღუაშვილი, ნოდარ ხადური და აკაკი ზოიძე ვეღარ მოხვდნენ.

თბილისის მერისა და პარტიის ერთ-ერთი ლიდერის, კახა კალაძის, განცხადებით, პოლიტსაბჭო მთლიანად ბიძინა ივანიშვილმა დააკომპლექტა. პარტიის მმართველი ორგანოს ახალი შემადგენლობას პარტია ყრილობაზე დაამტკიცებს.

მეოცნებეთა განახლებულ პოლიტსაბჭოში ბიძინა ივანიშვილი, გიორგი კვირიკაშვილი, ირაკლი კობახიძე, თამარ ჩუგოშვილი, გია ვოლსკი, ილია ნაკაშიძე, არჩილ თალაკვაძე, მამუკა მდინარაძე, დიმიტრი სამხარაძე, ბიძინა გეგიძე, ირაკლი ტრიპოლსკი, მაია ცქიტიშვილი, სოზარ სუბარი, დავით საგანელიძე და კახა კალაძე შედიან.

პარლამენტის ვიცესპიკერ გია ვოლსკის განცხადებით, განხორციელებული ცვლილებები

გაგრძელება მე-5 გვერდზე

რამაზ საყვარელიძე: „მარგველაშვილმა მოახერხა, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტი ჩრდილში არ ყოფილიყო“

ნათია ხურცილავა

პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი პოლიტიკურ კარიერას დაასრულებს თუ არა? როგორი პრეზიდენტი იყო ის? ამ საკითხებზე პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს.

პარტიაა ძლიერი, რამდენიც გინდა, იმდენი ვიძახოთ, რომ საპარლამენტო მოდელი გვაქვს. ამ მოდელს ბევრი ხარვეზი აქვს, რაც არ ჩანს დასავლეთში, ევროპაში, რადგან იქ ძლიერი პოლიტიკური ტრადიციებია, რაც ჩვენთან არ არის.

– ამის საპირისპიროდ ბევრი იტყვის, რომ საპრეზიდენტო მმართველობამ ვერ გაამართლა. როგორია თქვენი არგუმენტი?

– რომ ვერ გაამართლა, ამის მიზეზი მე მაინც დაბალი პოლიტიკური კულტურა მგონია. ჩვენთვის საპრეზიდენტო მმართველობა, სადაც რეალურ ძალთა ბალანსის მიღწევა იქნება შესაძლებელი, ოპტიმალურია.

– პრეზიდენტ მარგველაშვილს რომ დავუბრუნდეთ, მან დაასრულა პოლიტიკური მოღვაწეობა თუ შეიძლება პარტია შექმნას?

– ბატონო რამაზ, გიორგი მარგველაშვილი ბოლოჯერ წარდგება პრეზიდენტის რანგში პარლამენტში წლიური ანგარიშით. როგორ აფასებთ მარგველაშვილის პრეზიდენტობას?

– საპარლამენტო რესპუბლიკაში მარგველაშვილი იყო პირველი პრეზიდენტი. მთელი სირთულე საპარლამენტო რესპუბლიკის პრეზიდენტისა სწორედ მარგველაშვილთან დავინახეთ, როდესაც პრეზიდენტის უფლებამოსილებები საკმაოდ არის შეკვეცილი და პრეზიდენტს თითქმის არაფრის უფლება არ აქვს, კანონებზე ვეტოს დადების და პოლიტიკური შეფასებების გარდა. მთელი ეს პერიოდი იყო გიორგი მარგველაშვილის ბრძოლა, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტი უფრო მნიშვნელოვანი და პოლიტიკურად უფრო მეტი წონის ყოფილიყო.

როგორც პოლიტიკოსი, მარგველაშვილი ყოველთვის დასავლურ ღირებულებებზე იყო ორიენტირებული, ცალსახად ევროპული ორიენტაციის პოლიტიკოსია.

ის, რაც მოხდა მარგველაშვილსა და მმართველ პარტიას შორის, როგორ განვითარდა ეს ურთიერთობა, ამაში მე არ ვთვლი, რომ მხოლოდ მარგველაშვილია დამნაშავე, რადგან დაპირისპირებაში მხოლოდ ერთი დამნაშავე არ არსებობს, თავ-თავისი პასუხისმგებლობა ორივე მხარეს აქვს.

– დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი პრეზიდენტი იყო მარგველაშვილი? ამაზე ხშირად იყო აპელირება და ამიტომ გეკითხებით, რამდენად შეძლო მან, რომ არც ერთ პარტიასთან არ ყოფილიყო ასოცირებული?

– მარგველაშვილმა ეს სცადა იმით, რომ ხან ერთი პარტიისკენ გადაიხრებოდა და ხან – მეორე პარტიისკენ. ხომ იცით, შუა წერტილის დაკავება რთულია. მთავარი მაინც არის, მმართველი გუნდისგან იყოს დამოუკიდებელი, რაც ნამდვილად მოახერხა პრეზიდენტმა მარგველაშვილმა.

– თქვენ საპარლამენტო რესპუბლიკის სირთულეები ახსენეთ. ფიქრობთ, რომ საქართველოში მმართველობის ეს მოდელი არ გაამართლებს?

– მმართველობის ეს მოდელი საქართველოს ტიპის ქვეყნისთვის მისაღები არ არის. მე საპარლამენტო რესპუბლიკა არ მომწონს ბევრი თვალსაზრისით. მათ შორის ერთ-ერთი სწორედ იმიტომ, რომ პრეზიდენტი უმოქმედო ფიგურაა და თუ ის ახალგაზრდაა, თან ენერგიული და თან პოლიტიკოსია, ხშირად ეს ანტაგონისტურ სახეს იღებს საპარლამენტო სისტემაში.

საპარლამენტო მმართველობის ამოსავალი რა არის – ძლიერი პოლიტიკური პარტიები. საპარლამენტო მმართველობაში დემოკრატია ძლიერი პარტიების ხარჯზე მიიღწევა, მითხარით, საქართველოში რამდენი ძლიერი პარტია გვყავს?! თუ მხოლოდ ერთი, თანაც მმართველი

ვაწეობა თუ შეიძლება პარტია შექმნას?

– სიმართლე გითხრათ, მე თავის დროზე მოლოდინი მქონდა, რომ უუფლებო სავარძელს დატოვებდა, პარტიას შექმნიდა და საპარლამენტო არჩევნებში კენჭს იყრიდა.

– მარგველაშვილის გადადგომას ელოდით?

– დიახ.

– თავის დროზე, ამ კითხვაზე პასუხისას მარგველაშვილმა თქვა, რომ მან არ იცის, რატომ უნდა გადადგეს.

– გასაგებია, მაგრამ მე ველოდი მის გადადგომას არა იმიტომ, რომ მშვიდად სახლში წასულიყო, არამედ იმიტომ, რომ მეტი ძალაუფლებისთვის ებრძოლა. მარგველაშვილს დღესაც აქვს იმის უნარი, რომ ძლიერი პოლიტიკური გუნდი შეკრას. შესაბამისი ქარიზმატულობაც აქვს, ასე რომ, მარგველაშვილი ქართული პოლიტიკისთვის დასაკარგი ფიგურა ნამდვილად არ არის.

ამ ენერგიის, ქარიზმისა და განათლების პატრონი აღმოჩნდა ისეთ ადგილას, სადაც ეს შემადგენლობა არათუ საჭირო, არამედ სრულიად ხელისშემშლელი აღმოჩნდა, რაოდენ პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს. თუმცა, მარგველაშვილმა მოახერხა, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტი დაეცვა და ეს ინსტიტუტი ჩრდილში არ ყოფილიყო. ის საკმაოდ აქტიური იყო.

– მარგველაშვილს ჯერ არ აქვს გადაწყვეტილი, მეორე ვადით იყრის თუ არა კენჭს. თუ არ იყარა, საპარლამენტო არჩევნებისთვის შეიძლება მოემზადოს?

– ვერ გეტყვით. ის რას ფიქრობს, მაგრამ მე ვთვლი, რომ მას შანსი აქვს ქართულ პოლიტიკაში, მით უფრო, როდესაც ასეთი დეფიციტია ოპოზიციურ ფლანგზე. მარგველაშვილს შეუძლია იყოს ძლიერი ოპოზიცია პარლამენტში, რაც ქვეყანას ნამდვილად გამოადგება.

– პარლამენტში მისი გამოსვლის შემდეგ პოლიტიკური დებატები გაიმართება, რასაც არაერთგვაროვანი შეფასებები უკვე მოჰყვა. ოპოზიცია ამბობს, რომ უმრავლესობამ პრეზიდენტის ჩაქოლვა გადაწყვიტა. უმრავლესობა კი ამბობს, რომ დებატები დაამშვენებდა პრეზიდენტის გამოსვლას. თქვენ რას იტყვით?

– გააჩნია, ვინ რა პოზიციას დაიკავებს. თუ მარგველაშვილი თავის გამოსვლაში კრიტიკული იქნება ხელისუფლების მისამართით, მაშინ არც საპარლამენტო უმრავლესობა დაინდობს მას და ხალხი ნახავს დიდ სანახობას, მაგრამ, მე მგონი, ეს არ უნდა აწყობდეს არც ერთს და არც მეორე მხარეს.

მე მაინც მგონია, რომ მარგველაშვილი არ წავა ამ გზით და ის საცირკო სანახაობის გამართვას მოერიდება. მისი აქცენტები უფრო საგარეო პოლიტიკის მიმართულებით იქნება, ცხადია, შიდა პოლიტიკის აქცენტებიც იქნება.

მამუკა გამყრელიძე: „სრულიად ახალი სააკაშვილი ვიხილეთ, გამხდარი, სპორტული და მშვიდი“

რომან გოცირიძე: „ოპოზიციამ გაერთიანების შანსი ხელიდან არ უნდა გაუშვას“

ნონა ცაბაძე

გასული შაბათს ამსტერდამში ოპოზიციის ლიდერები სააკაშვილს შეხვდნენ. შეხვედრის მთავარი თემა მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნები და ერთიანი ოპოზიციური კანდიდატი იყო. ამ შეხვედრას ესწრებოდნენ: ბაჩუკი ქარდავა, პაატა დავითაია, პაატა მანჯგალაძე, ნიკა მაჭუტაძე, ზურაბ ხარატიშვილი, მამუკა გამყრელიძე, შოთა მალაშხია და ნაციონალური მოძრაობის სახელები.

რა იყო შეხვედრის ძირითადი მიზანი, რა დავალებები მიიღეს სააკაშვილისგან, შედგება თუ არა დიდი ოპოზიციური ერთობა, „ახალი თაობის“ ამ და სხვა კითხვებს ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე, რომან გოცირიძე და ყოფილი დიპლომატი მამუკა გამყრელიძე პასუხობენ.

რომან გოცირიძე:

– ბატონო რომან, ამსტერდამის შეხვედრით დავიწყოთ, სადაც ოპოზიციის ლიდერები სააკაშვილს შეხვდით. საუბარია, რომ დიდი გარიგება შედგა. გაგვიმხელთ, რა საკითხები განიხილეთ?

– ჩვენ ვაგრძელებთ იმ პროცესებს, რომლებიც 2-3 თვის წინ იქნა გამოცხადებული, რომ ჩვენ გვინდა, დიდი ოპოზიციური კოალიციით გავიდეთ საპრეზიდენტო არჩევნებზე და ფაქტობრივად დავამარცხოთ ხელისუფლების კანდიდატი.

დღეს ხელისუფლება არის უსუსურ მდგომარეობაში, დაუძლურებული, მას აქვს ყველა მიმართულებით პრობლემები. ეს იქნება ეკონომიკა თუ შიდა და საგარეო პოლიტიკა. მათ ძალიან უჭირთ საპრეზიდენტო კანდიდატის მოძებნა. ივანი შვილმა პოლიტსაბჭოს 3 წევრს შესთავაზა პრეზიდენტობა და ყველამ უარი განაცხადა. ზოგიერთის გვარებიც არის ჩემთვის ცნობილი.

– კერძოდ ვის შესთავაზეს?

– არ მინდა ახლა ამ გვარების დასახელება. თუ ამ ყაიდის ადამიანებში ეძებს „ქართული ოცნება“ სამომავლო კანდიდატს, ეს არის დიდი დაცინვა ჩვენი მოსახლეობის. მეორე მხრივ, ფაქტობრივად იმის გარანტიაა, რომ ასეთ საპრეზიდენტო კანდიდატს არ ექნება შანსი. თუმცა რა გასაკვირია, ჩვენ ვხედავთ, თუ როგორი საკადრო პოლიტიკა აქვს „ქართულ ოცნებას“.

– ბატონო რომან, ჩვენ ამსტერდამის შეხვედრის შესახებ უნდა გვესაუბრა და არა „ქართულ ოცნებაზე“...

– სწორედ რომ კავშირშია ეს ყველაფერი ერთმანეთთან. როდესაც ასეთი ვითარებაა, ოპოზიციამ არ უნდა გაუშვას ხელიდან შანსი, არ უნდა იყოს დაქსაქსული, უნდა გაერთიანდეს და ეს იქნება პირველი ნაბიჯი ხელისუფლების დემოკრატიული გზით შესაცვლელად.

– ამ თემაზე იმსჯელეთ? ბოლო პერიოდია, საეჭვოდ გააქტიურდა სააკაშვილი. რა ჩაიფიქრა?

– დიახ. შეიკრიბა ოპოზიცია და იმსჯელა, როგორ შეცვალოს ხელისუფლება კანონიერი და კონსტიტუციური გზით ანუ არჩევნების გზით. ამ შეხვედრას ესწრებოდნენ არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები. გეტყვით, რომ ეს არის მხოლოდ დასაწყისი და ოპოზიციური პარტიების ერთობა თანდათან კიდევ უფრო გაფართოვდება.

– რამდენად შეჯერდებით ერთიან საპრეზიდენტო კანდიდატზე? გამოვიდა ხმები, რომ ძალიან გიჭირთ ამ საკითხზე შეჯერება, რომ ვერ თანხმდებით. ასეა?

– ეს არ არის მხოლოდ გაერთიანება საპრეზიდენტო კანდიდატის ირგვლივ, ეს არის მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის მზადება. ეს იქნება სწორედ საპარლამენტო არჩევნების წინ ერთიანი, დიდი ოპოზიციური გაერთიანების შექმნა. ეს არ არის მხოლოდ ერთჯერადად, საპრეზიდენტო არჩევნებისთვის გაერთიანება. ამიტომ ჩვენ შევარჩევთ დემოკრატიული წესით საპრეზიდენტო კანდიდატს, რომელსაც იმ მომენტში ექნება ყველაზე დიდი რეიტინგი. მიუხედავად იმისა, რომელ პარტიაშიც არ უნდა იყოს იგი.

– რა გზით შეირჩევა?

– შერჩევის ფორმას გადავწყვეტთ, ეს იქნება კონსენსუსი პარტიებს შიგნით, ეს იქნება გამოკითხვის ჩატარება რომელიმე ავტორიტეტული ორგანიზაციის მიერ თუ პრაიმერიზის ჩატარება.

– დაახლოებით რამდენი პარტია მოიყრის ამ გაერთიანებაში თავს?

– ბევრი. აქ იქნებიან არა მარტო პარტიები, არამედ საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ცალკეული უპარტიო ადამიანები, რომლებსაც საზოგადოებაში აქვთ დიდი ავტორიტეტი.

– როდის გახდება საზოგადოებისთვის ცნობილი თქვენი კანდიდატი?

– ზუსტ თარიღს ვერ გეტყვით. ეს დასახელდება კანონით განსაზღვრულ ფარგლებში და შეიძლება უფრო ადრეც.

* * *

ამსტერდამის შეხვედრაში მამუკა გამყრელიძეც მონაწილეობდა, რომელმაც „ახალ თაობასთან“ ამ შეხვედრის დეტალებზე ისაუბრა.

– ბატონო მამუკა, რატომ შედგა ეს შეხვედრა ამსტერდამში, რა გქონდათ შესათანხმებელი სააკაშვილთან?

– პასუხი ძალიან მარტივია, საქმე ისაა, რომ ბევრს მოსწონს თუ არ მოსწონს, სააკაშვილი არის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მოთამაშე ამ თემაში და თავისთავად ნაციონალური მოძრაობა. სააკაშვილი ნაციონალური მოძრაობის ლიდერია და მასთან მოლაპარაკება ძალიან გვჭირდებოდა. ის, რომ სააკაშვილს არ შეუძლია საქართველოში ჩამოსვლა, ეს ახალი არავისთვისაა და ვიტყვი, რომ ეს არის სამარცხვინო.

– რა არის სამარცხვინო, სააკაშვილი რომ ვერ ჩამოდის საქართველოში?

– დიახ, სამარცხვინოა, რომ არჩევნების წინ, პარტიის ლიდერი, თანაც მნიშვნელოვანი პარტიის ლიდერი, ვერ ახერხებს საქართველოში ჩამოსვლას და პირდაპირ დაკონტაქტებას, რის გამოც ჩვენ გვიწევს კონსულტაციის გამართვა სადღაც უცხო ქვეყანაში.

სიმართლე გითხრათ, ეს ჩემთვის ძალიან არასასიამოვნოა, მაგრამ რას იზამ. თუმცა ის ფაქტი, რომ, როგორც იქნა, ერთი წლის წვალების და ჯახირის შემდეგ მოხდა ასეთი მსხვილი მოთამაშის შემოსვლა ამ ოპოზიციური პარტიების კომპანიაში, ძალიან დიდი გამარჯვებაა.

– რას უწოდებთ გამარჯვებას?

– პირველ რიგში, სააკაშვილის ჩართვას ამ პროცესში. ეს აქამდე ვერ ხერხდებოდა, რადგან სააკაშვილს თავისი საქმე ჰქონდა უკრაინაში.

– სააკაშვილის ფაქტორი ოპოზიციურ ერთობას არ დააზარალებს? არ აფრთხობს პარტიებს მისი პერსონა?

– რატომ უნდა დააზარალოს?!

– თქვენთვისაც ცნობილია, რომ ბოლო პერიოდში ნაციონალურ მოძრაობასთან ერთობას, კოალიციას, ყველა ოპოზიციური ძალა გაურბოდა. რა შეიცვალა?

– მე ასე ვიტყოდი: ჩვენ ბევრი ვეცადეთ, რომ შეგვექმნა დაძაბულობის მესამე ფრონტი, მესამე ძალა. დაწყებული ჯერ კიდევ ორგანიზაცია „ივერიიდან“, შემდეგ ერთიანი პლატფორმა შევქმენით, „ერთობა ახალი საქართველოსთვის“, გვინდოდა, მესამე დაძაბულობის ცენტრი შეგვექმნა, მაგრამ არ გამოდის.

– და ბოლოს ისევ სააკაშვილამდე მიხვედით?

– ძალიან რადიკალიზებულია დღეს პოლიტიკური ველი და საზოგადოებაც. ხედავენ ორ დაპირისპირებულ მხარეს. ერთში მოისაზრება ხელისუფლება და მეორეში – ოპოზიციური ძალა, საზოგადოდ. თუმცა რეალურად სტრუქტურირებულ ძალას მაინც ნაციონალური მოძრაობა წარმოადგენს. თუ სხვა ოპოზიციური პარტიებიც შემოგვიერთდებიან, მათთანაც მიდის კონსულტაციები, მაშინ ეს იქნება ძალიან ძლიერი ერთიანობის საწინდარი. „ქართული ოცნებაც“ ხომ კოალიციაა, არა? აი, ასეთი რაღაცის შექმნა გვინდა და ვნახოთ, რა გამოვა.

– „ევროპული საქართველო“, როგორც ჩანს, შორს დგას ამ ერთობისგან.

– ჯერ შორს დგას, მაგრამ ჩვენ არ გამოვრიცხავთ აბსოლუტურად არავის მონაწილეობის მიღებას. ძალიან მკვეთრი ხაზია გავლებული.

– რა მესიჯები მიიღეთ ლიდერისგან? სააკაშვილს ვგულისხმობ. რა დავალება მოგცათ?

– მე არ ვიტყოდი, რომ სააკაშვილი ლიდერია. სააკაშვილი ზუსტად ისეთივე ლიდერია, როგორც თითოეული ჩვენგანი. თვითონაც არ მოისაზრებს თავს ამ ერთობის ლიდერად. აბსოლუტურად მშვიდად ვისხედით და ყველას ერთი და იგივე სურვილი გვქონდა, გაგვეზიარებინა ერთმანეთისთვის აზრები და ჩამოვყალიბებულიყავით. ახლა თქვენ გეტყვით იმას, რაც ამ შეხვედრის შემდეგ სხვაგან არ მითქვამს. მე ვარ სრულიად გაოცებული. მე აბსოლუტურად ახალი სააკაშვილი ვნახე!

– რას გულისხმობთ ახალ სააკაშვილში?

– ბევრად უკეთესი, ვიდრე ადრე.

– ნუთუ მას შეეცვალა ხედვები და აზროვნება?

– მოდით, ასე ვთქვათ, ჯერ ერთი, გარეგნულად გამოიყურება ბრწყინვალედ. ის ძალიან გახდა. საკმაოდ სპორტულია, გაახალგაზრდავდა. როგორც ჩანს, მან ის სტრესი მოიხსნა, რაც უკრაინაში ჰქონდა. წონის მატება ყოველთვის სტრესთან არის დაკავშირებული.

– ეს ყველაფერი მის ხედვებთან და აზროვნებასთან რა შუაშია?

– მას საშუალება მიეცა, გაცილებით მშვიდად, წყნარად, გააზრებულად იმოქმედოს. ის ძალიან დამშვიდებულია. ძალიან ბევრს გვისმენს და ის გახდა აბსოლუტურად ღია. მე იმედი მაქვს, რომ აქედან რაღაცა გამოვა.

„ევროპულ საქართველოსაც“ ვეღოდებით ჩვენთან. ჩვენ მივიღეთ ძალიან კარგი გადაწყვეტილება, რომ არ დავესხმებით თავს არავის. არ იქნება ზედმეტი კრიტიკა და თავდასხმა ოპოზიციური პარტიების მიმართ და იგივეს ველით სხვებისგანაც.

– სააკაშვილმა განაცხადა, რომ იწყებთ ხელისუფლების ცვლილებას საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ. ხელისუფლება საპარლამენტო არჩევნების შემდეგ იცვლება. რამე ახალი რევოლუციური ტალღა ჩაიფიქრა?

– უი, არა, რას ამბობთ. მისი განცხადებებიდან გამომდინარე, თავიდან ჩვენც ასე ვფიქრობდით და ამიტომაც ჩავედით ამსტერდამში, გვინდოდა, პირადად შევხვედროდით. ვინც იქ ვიყავით, ყველას აბსოლუტურად ერთი და იგივე შეხედულება გვაქვს იმაზე, რომ 2020 წლის არჩევნების პროცესი უნდა დაიწყოს 2018 წლის არჩევნებზე. როდესაც მოხდება გაერთიანებული ოპოზიციური კანდიდატის წარდგენა.

ეს კანდიდატი უნდა იყოს ძალიან გამჭვირვალე პროცესით შერჩეული და ვვარაუდობთ, რომ შერჩევა, ეს იქნება პრაიმერიზის გზით. ჩვენ არ უნდა მივცეთ საშუალება ხელისუფლებას, რომ გამოიყენოს ადმინისტრაციული რესურსი. სწორედ აქედან ვიწყებთ. თუ გავიმარჯვებთ, კარგია, თუ ვერ გავიმარჯვებთ, ჩვენ მაქსიმალურად დავუმძიმებთ ცხოვრებას ხელისუფლებას 2020 წლის არჩევნებამდე.

რაც შეეხება რევოლუციას, ამ ჭორებს ხელისუფლება გვივრცელებს. ეს მის ინტერესშია. ძალიანაც რომ გვინდოდეს, რევოლუციას ვერ მოვაწყობთ! იმიტომ, რომ არ გვაქვს ამის რესურსი. ეს თუ მოხდა, მოხდება სპონტანურად და ამას თავად „ოცნება“ გაიჩალიჩებს, თუ ხალხს მაქსიმალურად ამოუყვანს ყელში.

რა ხდებოდა ამსტერდამში ქართული ოპოზიციის სააკაშვილთან შეხვედრაზე

მერია საზოგადოებრივი ტრანსპორტის განახლებულ მარშრუტებზე მუშაობს

რა მნიშვნელობისაა ქალაქ თბილისის მერიისა და კომპანია „სპექტრუმის“ ერთობლივი კვლევა მგზავრთნაკადების შესწავლის შესახებ და რა სიახლეებს შესთავაზებს თბილისის მერია მოქალაქეებს? – ამ თემებზე ისაუბრეს რადიო კომერსანტის გადაცემაში „კომერსანტის დრო სალომე სოსელიასთან ერთად“.

გადაცემის სტუმრის, ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელ მამუკა მუმლაძის თქმით, ტრანსპორტის განვითარების მიმართულებით კვლევები არ არსებობს და აღნიშნული კვლევის შედეგებს და რეკომენდაციების თბილისის მერია მრავალი წლის განმავლობაში გამოიყენებს და გაითვალისწინებს.

მამუკა მუმლაძე ამბობს, რომ ინტერვიუერები მგზავრთნაკადების შესწავლის მიზნით საზოგადოებრივ ტრანსპორტში მგზავრთა გამოკითხვას ჩაატარებენ. კვლევის შედეგად განისაზღვრება დღის განმავლობაში მოქალაქეთა ფეხითა და საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილების მარშრუტები, მანძილები, მოთხოვნები და ინტენსივობა.

– უახლოეს მომავალში თბილისის მერია საზოგადოებრივი ტრანსპორტის განახლებულ მარშრუტებს შეიმუშავებს. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეიქმნება საინფორმაციო ბაზა, რომელიც გახდება ტრანსპორტის სამსახურის ელექტრონული მართვის ხელსაწყო. მისი მეშვეობით დავგეგმავთ მარშრუტებს. კვლევა პირველი ეტაპისთვის ემსახურება ავტობუსების ხაზების ოპტიმიზაციას, სამარშრუტო ხაზების გადალაგებას, რათა ისინი უფრო კომფორტული იყოს მოქალაქეებზე და არ დასჭირდეთ მათ მრავალჯერადი გადაჯდომა. იგეგმება მეტროს გაჩერებებთან მორგებული სამარშრუტო ხაზების დაგეგმვა, – ამბობს მამუკა მუმლაძე.

ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელმა ასევე განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში დასრულდება ახალი ველობილიკის მოწყობაც. როგორც პროექტით არის გათვალისწინებული, ველობილიკი უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსიდან მეტროსადგურ „უნივერსიტეტის“, ვაჟა-ფშაველას გამზირის, ქავთარაძის ქუჩისა და ყაზბეგის გამზირების გავლით პეკინის ქუჩას შეუერთდება.

კომერსანტი

რატომ გაუშვეს „ოცნების“ პოლიტსაბჭოდან ბესელია და სესიაშვილი

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ვრცელ გეგმას ემსახურება.

– გეგმა საკმაოდ ვრცელია, პარტიული მშენებლობა ითვალისწინებს საკადრო გაძლიერებას და ორგანიზაციულ ნაწილში გაცილებით მეტი ყურადღება მიექცევა რეგიონულ პრობლემებს, ადგილობრივ მუნიციპალურ პრობლემებს არა მარტო პარტიული პოლიტიკური ხაზით, ყველა საკითხთან დაკავშირებულ თემებს მოუყრის თავს პოლიტსაბჭო, იქნება შესაბამისი რეკომენდაციები და გადაწყვეტილებები, – განაცხადა გია ვოლსკიმ.

პოლიტსაბჭოდან ეკა ბესელიასა და ირაკლი სესიაშვილის წასვლას სერიოზული მითქმა-მოთქმა მოჰყვა. ისინი „ოცნებაში“ მისი დაარსების დღიდან არიან. წინა მოწვევის პარლამენტშიც ერთიც და მეორეც ძალიან აქტიური იყვნენ. ამ მოწვევის პარლამენტში მათ კვლავ საკვანძო თანამდებობები უჭირავთ, მაგრამ აღარ აქტიურობენ.

რამდენიმე კვირის წინ „ახალი თაობა“ უკვე წერდა, რომ კობახიძის ფრთამ ეკა ბესელიაც და ირაკლი სესიაშვილიც ჩააჩოჩა. ახლა ისინი პოლიტსაბჭოდანაც გაუშვეს. ეს კობახიძის ფრთისთვის ერთგვარი წარმატებაა. მართალია, ეს ტანდემი პარტიაში დაწყებულ დაპირისპირებაში არ ერეოდა, მაგრამ მათ მაინც ძველებში მოიაზრებდნენ.

მამუკა მდინარაძე სესიაშვილი-ბესელიას წასვლაში უცნაურს ვერაფერს ხედავს.

მისი თქმით. მოხდა პოლიტსაბჭოს დაკომპლექტების გარკვეულ პრინციპზე შეთანხმება, რომლის მიხედვითაც ახალ შემადგენლობაში კომიტეტის არცერთი თავმჯდომარე არ მოხვდებოდა.

– ბუნებრივია, ბიძინა ივანიშვილთან იყო კონსულტაციები კანდიდატების შერჩევის დროს, რადგან ის პარტიის თავმჯდომარედ ყრილობამ უნდა დაამტკიცოს. ახალ შემადგენლობაში არ არის წარმოდგენილი არცერთი კომიტეტის თავმჯდომარე. პოლიტსაბჭოს დაკომპლექტების გარკვეულ პრინციპზე შევთანხმდით, რომ პარლამენტიდან, მაგალითად, იქნებოდა სპიკერატი. პარტიის წარმომადგენელი და ასახვა პარლამენტში არის ფრაქცია „ქართული ოცნება“, ამიტომ მე ვარ საბჭოში, როგორც ფრაქციის თავმჯდომარე და ჩემი ორი მოადგილე. ასევე გადავწყვიტეთ, რომ პოლიტსაბჭოში ყოფილიყო ერთ-ერთი ფრაქციის ხელმძღვანელი და ორი მინისტრი, – განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

„ქართულ ოცნებაში“ დაპირისპირება საჯაროდ გედევან ფოფხაძის ამბავმა გამოიტანა. მისი დემარშის წყალობით ყველამ გაიგო, რომ მმართველ პარტიაში ერთმანეთს ვერ იტანენ. გაირკვა ისიც, რომ კვირიკაშვილს სერიოზულად ებრძოდა კობახიძის ჯგუფი.

ეს ღვაწლი გედევან ფოფხაძეს სათანადოდ არ დაუფასდა. ის პოლიტსაბჭოში ვეღარ მოხვდა. დეპუტატი ამ ამბავს მშვიდად შეხვდა. მისი აზრით, მთავარია, რომ პარტიის პირველი ნომერი ბიძინა ივანიშვილია. ის ამბობს, რომ მნიშვნელობა არ ჰქონდა, იქნებოდა თუ არა პოლიტსაბჭოში.

– მინდა, ყველა ჩვენი გულშემატკივრის გასაგონად ვთქვა, რომ პოლიტსაბჭოს ამ ფორმატს მთავარი ღირსება აქვს ის, რომ პირველი ნომერი არის ბიძინა ივანიშვილი, მისი დაბრუნება პოლიტიკურ სივრცეში, პარტიაში, არის ახალი შანსი ჩვენი გუნდისთვის და, ჩემი აზრით, ქვეყნისთვისაც.

ამდენად, საზომი იყო ის, რომ ჩვენს გუნდს ჰყავს ლიდერი, რომელიც ისევ არის საჭესთან და ისევ მზად არის, უხელმძღვანელოს გუნდს. ყველა სტატუსი ამ შემთხვევაში არის პირობითი. არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა, მე ვიქნებოდი პოლიტსაბჭოში თუ არ ვიქნებოდი, მთავარია, დამოკიდებულება არსებითად იცვლება და გუნდის ყველა ჯგუფს უნდა, გამონახოს თავისი ფუნქცია და მაქსიმალური შესაძლებლობა იმისთვის, რომ თავისი თავი ბოლომდე დაახარჯოს გუნდს, ამიტომ, ნამდვილად მგონია, რომ ის შემადგენლობა, რომელიც განვსაზღვრეთ, ოპტიმალურია და, იმედია, ყრილობა ამ შემადგენლობას მხარს დაუჭერს, – განაცხადა გედევან ფოფხაძემ.

ვახტანგ მაისაია: „საქართველოს ნატოში მაპის გარეშე არ მიიღებენ“

გულიკო ბალაძე

ახლახან თბილისში ნატო-საქართველოს სახალხო დიპლომატიის ფორუმი გაიმართა. სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ექსპერტ ვახტანგ მაისაიას განცხადებით, ივნისში ბრიუსელის ნატოს სამიტზე საქართველოს, მაკედონიისა და უკრაინის ნატოში მიღების საკითხი განიხილება, მაგრამ მაპის გარეშე საქართველოს ნატოში გაწევრიანება გამორიცხულია.

– ბატონო ვახტანგ, თბილისში ნატო-საქართველოს ფორუმი ჩატარდა, სადაც რუსეთის პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლასა და ამ საქმეში სახალხო დიპლომატიის გამოყენებაზე იყო საუბარი. არსებულ ვითარებაში ასეთ ღონისძიებები რა მნიშვნელობას იძენს?

– ნატოს აქვს რუსეთის პროპაგანდისტული ომის წინააღმდეგ კონტრკამპანიის სტრატეგია. ამ მიმართულებით დიდი ხანია დაიწყო მუშაობა და ცენტრი ბალტიის ერთ-ერთ სახელმწიფოში შეიქმნა, რომელიც ამ საკითხებს კოორდინაციას გაუწევს რუსეთის საინფორმაციო-პროპაგანდისტული ომის წინააღმდეგ. საქართველო ამ პროცესში ჩაერთო. ღონისძიება იმართება ნატო-საქართველოს კომისიის ფორმატში, სადაც აღნიშნული თემა განიხილება.

– ამ ღონისძიებას რუსული პროპაგანდის წინააღმდეგ გარკვეული როლის შესრულება შეუძლია?

– დიახ, ეს მოიცავს სახალხო დიპლომატიის ფარგლებში საინფორმაციო სტრუქტურების ამოქმედებას. საუბარია ასევე საქართველოში ნატოს შესახებ პროპაგანდის წარმოებაზე. საქართველო არის რუსული პროპაგანდისტული შეტევის მთავარი ობიექტი.

– რუსული პროპაგანდა საქართველოში როგორ ხორციელდება?

– სხვადასხვა სახით. ძირითადად, დაახლოებით კიბერომის ფორმატში ხორციელდება. ამიტომ ნატო დაინტერესებულია ამ საკითხების მოგვარებით.

– სახალხო დიპლომატიას რის გაკეთება შეუძლია რუსული პროპაგანდის წინააღმდეგ?

– ნატოში სახალხო დიპლომატიის სპეციალური დეპარტამენტია, რომელიც ამ საკითხებზე მუშაობს. ეს არის არაქართულ ორგანიზაციებთან ურთიერთობების განვითარება, მათი მხარდაჭერა. საუბარია ასევე საზოგადოებაში ევროატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციის პროცესების წარმოჩენაზე, საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის ურთიერთობების დარეგულირებაზე.

– შეიძლება ვთქვათ, რომ საქართველო არის რუსული პროპაგანდისტული ომის მსხვერპლი? იყო მომენტები, როდესაც ეს გამომჟღავნდა?

– ევრაზიული კავშირის მომხრეთა რაოდენობის მცირე ზრდა ენდიაის გამოკითხვებით გამოვლინდა. ბოლო გამოკითხვებით 31%-მა განაცხადა, რომ ისინი მისტირიან საბჭოთა კავშირს, თუმცა, 69%-მა ისევ დაუჭირა მხარი ნატოში ინტეგრაციას.

ივნისში ბრიუსელში ნატოს სამიტი ჩატარდება, სადაც ძალიან მნიშვნელოვანი თემა განიხილება – საუბარია მაკედონიის, საქართველოსა და უკრაინის ნატოში მიღების საკითხზე. ალბათ ეს საკითხებიც იქნება დასმული.

– შეიძლება მიგვიღონ?

– რთული საკითხია.

– ამერიკის ახალმა სახელმწიფო მდივანმა განაცხადა, რომ რუსეთი აშინებს ამერიკის სტრატეგიულ მოკავშირე საქართველოს. ნებისმიერი ასეთი განცხადება ჩვენთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ ამ შემთხვევაში ამერიკის მაღალი თანამდებობის პირის განცხადება საქართველოს ნატოში მიღების საკითხს ხომ არ ააქტიურებს?

– ამას დრო გვიჩვენებს. ჯერჯერობით დღეს საქართველოს დიპლომატიური კორპუსი ამ მიმართულებით აქტიურად არ მოქმედებს. სამწუხარო რეალობაა, მაგრამ ასეა.

საბერძნეთს მონტენეგროსა და მაკედონიის მიმართაც აქვს პრეტენზიები. სანამ მაკედონია სახელწოდებას არ შეიცვლის, მის ნატოში მიღებას ვეტოს ადებს. ასევე პრობლემა არსებობს უკრაინასა და უნგრეთს შორის. უნგრეთი უკრაინის ნატოში მიღებას ვეტოს ადებს და ეწინააღმდეგება უკრაინა ნატოს კომისიის შექმნას. დარჩა საქართველო, რომელსაც ერთგვარი პრობლემები აქვს ამ მიმართულებით.

– საქართველოს ნატოში მიღებას გერმანია ბლოკავს.

– დიახ, საქართველოს ბლოკავენ გერმანია, საფრანგეთი, ჰოლანდია. არიან სკეპტიკოსი სახელმწიფოები, თან მაპის გარეშე ნატოს წევრობაზე საუბარი რთულია. იმედია, მაპს მოგვცემენ. არა მგონია, მაპის გარეშე, პირდაპირ დაისვას საკითხი საქართველოს ნატოში გაწევრიანებაზე.

– გერმანია შეიძლება ფინანსებით დაეხმაროს საქართველოს, მაგრამ ეწინააღმდეგება საქართველოს ნატოში გაწევრიანებას, რაც ქვეყნის უსაფრთხოების გარანტია. ეს ჩვენი დიპლომატიის მარცხია?

– დიპლომატიის სისუსტეც არის და ქვეყანაში არსებული ზოგადი სიტუაციაც. გერმანია აკრიტიკებდა სააკაშვილის რეჟიმს. ასევე გარკვეული კითხვებია სასამართლოსთან, ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებით. არსებობს სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. საქართველოს ამ ეტაპზე რუსეთთან საკმაოდ რთული ურთიერთობები გააჩნია, რაც, ერთ კომპლექსში აღებული, კრიტიკოსი სახელმწიფოებისთვის ფონს ქმნის. ეს ყველაფერი ქვეყანას ჩიხურ მდგომარეობაში აყენებს.

– რუსეთთან დაძაბული ურთიერთობა შეიძლება კიდევ დიდხანს გვქონდეს. გერმანიასაც სულ ექნება თავისი პრაგმატული ინტერესები რუსეთის მიმართ. აქედან გამომდინარე, შეიძლება საქართველოს ნატოში გაწევრიანების საკითხი შორეული პერსპექტივა იყოს და ჩვენი ურთიერთობა ნატოსთან ნატო-საქართველოს კომისიის ფორმატში გრძელდებოდეს?

– სტრატეგიული პარტნიორობის ფარგლებში ნატოსთან ინტენსიური თანამშრომლობა ისედაც გვაქვს. სხვა ხელისშემშლელი ფაქტორებიც არის, რომელთა გამოსწორება ჩვენზე არ არის დამოკიდებული.

მაპი ქვეყნის ნატოში გაწევრიანებისთვის მომზადების კონკრეტული პროცესია. კონკრეტული მექანიზმები ჩაირთვება და ნატო ამზადებს ქვეყანას ნატოში სრული გაწევრიანებისთვის. მაპს გააჩნია თავისი მნიშვნელოვანი დატვირთვა. ამიტომ ზოგი ვაიპოლიტიკოსების განცხადებები, რომ საქართველო მაპის გარეშე გახდება ნატოს წევრი, არასერიოზულია. არ შეიძლება, ხალხი ასე მოატყუო. ყველა სახელმწიფომ, რომლებიც გაწევრიანდნენ, გაიარა მაპის ციკლი, მათ შორის, მაკედონიამაც.

– მგონი, თურქეთს არ გაუვლია.

– თურქეთი რომ მიიღეს ნატოში 1952 წელს, მაშინ მაპის ფორმატი არ არსებობდა. მაპი მიიღეს 1999 წლის ვაშინგტონის სამიტზე, რადგან კანდიდატ სახელმწიფოებთან, პოლონეთთან და სხვებთან უდიდესი პრობლემები შეექმნათ.

– ასპირანტობა მაპზე მეტიაო.

– ეს არასერიოზული განცხადებებია. ნატოში 5 წელი გავატარე და ვიცი, რა როგორ ხდება. ვაიპოლიტიკოსების განცხადებები დასაჯერებელი არ არის.

ფინანსური პირამიდის მორიგი საფრთხე

ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“ საქართველოს ეროვნულ ბანკს მოუწოდებს, დაიცვას ს.ს. „მიკროკრედიტის“ მომხმარებელთა უფლებები და იმოქმედოს „საქართველოს ეროვნული ბანკის“ შესახებ კანონის მოთხოვნათა დაცვით, რაც გულისხმობს ეროვნული ბანკის საზედამხედველო ფუნქციის განხორციელებას, საფინანსო კომპანიის შემოწმებას და მასზე შესაძლო აკრძალვებისა და შეზღუდვების დაწესებას.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ 2018 წლის იანვრიდან, არაერთი მოქალაქის მომართვის საფუძველზე, სწავლობს ს.ს. „მიკროკრედიტის“ საქმიანობას და საერთო სასამართლოებში გააჩნია მიმდინარე დავები. კომპანიის მიერ არ ხდება ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულებების შესრულება. მწვავედ დგას, როგორც ძირითადი თანხის, აგრეთვე სარგებლის მიღება, მათ შორის „მწვანე თამასუქის“ ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულებები.

ორგანიზაციის მეშვეობით, არაერთი მოქალაქე კომპანიისგან დღემდე ამაოდ მოითხოვს, პასუხი გაეცეს, თუ რა ობიექტური გარემოებების გამო არ ხდება სარგებლის გაცემა, მუშაობს თუ არა კომპანია სრული დატვირთვით, არის თუ არა კომპანია ფინანსური კრიზისის წინაშე და გადახდისუნარიანი.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ს.ს. „მიკროკრედიტის“ შესახებ ინფორმაციის მიხედვით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებების საფუძველზე, უძრავ ქონებებზე წარმოქმნილია აკრძალვები

და ყადაღები. მათ შორის, „ახალგაზრდა ადვოკატების“ წარმომადგენლობით, სასამართლომ 2018 წლის 15 მარტს განჩინებით, დააკმაყოფილა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების – აკრძალვის გამოყენების მოთხოვნა და კომპანიას თბილისსა და რეგიონებში, საკუთრებაში არსებული რვა უძრავი ქონების გასხვისება აეკრძალა.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ განცხადებით, საქართველოს ეროვნული ბანკი სრულად ინფორმირებულია ს.ს. „მიკროკრედიტის“ არსებული მდგომარეობის თაობაზე, თუმცა არავითარ პრევენციულ ღონისძიებებს არ ახდენს მომხმარებელთა უფლებების დასაცავად. ორგანიზაციამ სებ-ის პრეზიდენტს, კობა გვენეტაძეს საკითხზე სწრაფი რეაგირებისთვის, ჯერ კიდევ 2018 წლის 18 იანვარს მიმართა. ორგანიზაციის მიერ სებ-ის წინაშე დასმულ კითხვებს შეადგენდა:

საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან, მოცემულ დრომდე, განხორციელებულა თუ არა რაიმე სახის აკრძალვებისა და შეზღუდვების დაწესება სს „მიკროკრედიტის“ მიმართ, სებ-ის მხრიდან განხორციელებულა თუ არა სს „მიკროკრედიტის“ მიმართ ფულადი ჯარიმის დაკისრება, 2017 წლის 1 იანვრიდან, დღეის მდგომარეობით, მოუმართავთ თუ არა სს „მიკროკრედიტის“ მომხმარებლებს სებ-ისთვის კომპანიასთან დაკავშირებული რაიმე სახის პრეტენზიით, მუშაობს თუ არა სებ-ი რაიმე სტრატეგიაზე, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება სავარაუდო გადახდისუუნარობის შემთხვევაში სს „მიკროკრედიტის“ მომხმარებელთა უფლებების დაცვა. აღნიშნულ წერილზე, სებ-ის მიერ 2018 წლის 6 თებერვალს მომზადდა გამოხმაურება და საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცეპრეზიდენტი მურთაზ კიკორია საპასუხო განცხადებაში აღნიშნავდა: „დღეის მდგომარეობით, ს.ს. „მიკროკრედიტი“ არ წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგულირებულ სუბიექტს და მასზე არ ვრცელდება საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობა. აქვე გვსურს განგიმარტოთ, რომ არ განხორციელებულა საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან ს.ს. „მიკროკრედიტისათვის“ აკრძალვებისა და შეზღუდვების დაწესება“.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ განცხადებით, ს.ს. „მიკროკრედიტის“ წინააღმდეგ საერთო სასამართლოებში მზარდი დავების გათვალისწინებით, ასევე კომპანიის ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი პოზიციები კრიტიკას ვერ უძლებს. პირიქით, შესაძლებელია, სებ-ის მიერ წახალისებული აღმოჩნდეს ფინანსური პირამიდის მოსალოდნელი საფრთხეები, რომლის შედეგებიც, ჩვენმა მოსახლეობამ საფინანსო კომპანია „საქართველოს“ სახით, უკვე იწვნია. შესაბამისად, ორგანიზაცია მოუწოდებს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს, პირად კონტროლზე აიყვანოს ს.ს. „მიკროკრედიტის“ საქმე და მოხდეს გადამჭრელი ზომების მიღება.

ორგანიზაციის შეფასებით, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის თანახმად, „სააგენტოს ამოცანაა საფინანსო სექტორის ფინანსური მდგრადობისა და გამჭვირვალობის ხელშეწყობა, მომხმარებელთა და ინვესტორთა უფლებების დაცვა. ამ მიზნით სააგენტო აკონტროლებს სისტემურ რისკს, ამცირებს პოტენციურ რისკებს, უზრუნველყოფს საფინანსო სისტემის სტაბილურ და ეფექტიან ფუნქციონირებას“. ამავე კანონის 48-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად „საზედამხედველო ფუნქციების შესასრულებლად ეროვნული ბანკი უფლებამოსილია გამოსცეს შესაბამისი დადგენილებები და ბრძანებები, განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები, გასცეს წერილობითი მითითებები, დააწესოს დამატებითი მოთხოვნები, შესაბამისი შეზღუდვები ან/და სანქციები.“ შესაბამისად, ორგანიზაცია სრულ პასუხისმგებლობას მომხმარებელთა უფლებების დაცვაზე, სწორედ საქართველოს ეროვნულ ბანკს აკისრებს.

ბპნ

საქართველოში დიზელის საწვავის ყველაზე დიდი მომწოდებელი აზერბაიჯანია

„ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის“ ინფორმაციით, 2017 წელს საქართველოში დიზელის საწვავის იმპორტმა 563,2 ათასი ტონა შეადგინა. აქედან ყველაზე დიდი წილი მოდის აზერბაიჯანზე – 197,6 ათასი ტონა ანუ 35,1%. შემდეგ მოდიან თურქმენეთი – 149,0 ათასი ტონა ანუ 26,4%, რუმინეთი – 79,0 ათასი ტონა ანუ 14,0%, რუსეთი – 72,6 ათასი ტონა ანუ 12,9%, ბულგარეთი – 39,5 ათასი ტონა ანუ 7,0%, საბერძნეთი – 22,9 ათასი ტონა ანუ 4,1% და ა.შ.

საქართველოში დღეს იყიდება ევრო 4 და ევრო 5-ის შესაბამისი სტანდარტის დიზელის საწვავი.

როგორც აღვნიშნეთ, აზერბაიჯანი არის საქართველოში დიზელის საწვავის ყველაზე დიდი მომწოდებელი. ეს განპირობებულია იმით, რომ აზერბაიჯანი არის ჩვენი მეზობელი ქვეყანა და ამ პროდუქტის ტრადიციული მომწოდებელი. შესაბამისად, აზერბაიჯანიდან იმპორტირებული პროდუქტი შედარებით იაფია სხვა ქვეყნებთან იმპორტირებულ დიზელის საწვავთან შედარებით.

კერძოდ, აზერბაიჯანიდან იმპორტირებული დიზელის (ევრო 4) საწვავის ფასი 15-18 თეთრით ნაკლებია, დაწყებული 90-იანი წლებიდან არ ყოფილა შემთხვევა, რომ აზერბაიჯანიდან მომხდარიყო საწვავის მოწოდების შეფერხება. მათ შორის აღსანიშნავია 2008 წლის რუსეთ-საქართველოს შორის ომის პერიოდი, როდესაც რამოდენიმე თვის განმავლობაში პარალიზებული იყო მთელი საზღვაო აკვატორია და ვერ ხდებოდა ქვეყანაში ზღვით საწვავის შემოტანა. ამ დროს ქვეყანამ საწვავის დეფიციტი გადალახა იმის ხარჯზე, რომ ის საწვავს იღებდა რკინიგზის მეშვეობით აზერბაიჯანიდან და ქვეყნისათვის ამ უმძიმეს პერიოდში მათი დახმარებით შეიქმნა დიზელის საწვავის რამოდენიმე ათასტონიანი მარაგი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოში სულ რეგისტრირებულია 1 228 100 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომლიდანაც დაახლოებით 28-30% შეადგენს დიზელის საწვავზე მოძრავ ავტოსატრანსპორტო საშუალებებს. მათ შორის არის სატვირთო (100.000 ერთეული), სამგზავრო (53.500 ერთეული), სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (28.400 ერთეული), სპეც. ტექნიკა (4.400 ერთეული) და სპეციალიზირებული (11.400 ერთეული) ავტოსატრანსპორტო საშუალებები. უნდა აღინიშნოს, რომ ესენი არიან ძირითადად თავისი ასაკიდან გამომდინარე ის სატრანსპორტო საშუალებები, რომელთათვისაც მნიშვნელობა აქვს ევრო დიზელთან შედარებით დიზელის საწვავის დაბალ ფასს. აზერბაიჯანული და თურქმენული საწვავის მოხმარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობაში მომუშავე, სამშენებლო და სპეც. ტექნიკისათვის.

განსაკუთრებით ზამთრის თვეებში, მკაცრი კლიმატური პირობების დროს, როდესაც შესაძლებელი ხდება შეფერხებების გარეშე აზერბაიჯანული დიზელის საწვავის გამოყენება მასში პარაფინის გაცილებით მცირე შემცველობის გამო. მათთვის 15-20 თეთრით იაფი პროდუქციის არსებობა მეტად მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში საშემოდგომო და საგაზაფხულო კულტურული ნათესი ფართობები სულ უფრო მეტად მცირდება. კერძოდ, 2014 წელს ნათესი ფართობის ოდენობამ შეადგინა – 274,9 ათასი ჰექტარი, 2015 წელს – 263,7 ათასი ჰექტარი, 2016 წელს – 240 ათასი ჰექტარი, 2017 წელს – 214,9 ათასი ჰექტარი.

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში მნიშვნელოვნადაა გაზრდილი დიზელის საწვავის მოხმარება, რაც სხვა ფაქტორებთან ერთად უშუალო კავშირშია, ერთი მხრივ, საქართველოში ტრანზიტულად მოძრავი სატრანსპორტო საშუალებების მატებასთან, ასევე ინფრასტრუქტურული და სამშენებლო სამუშაოების ზრდასთან.

„49.829 მსესხებელს რეფინანსირებაზე მიბმულ სესხზე საპროცენტო განაკვეთი არ შეეცვლება“

„საზოგადოება და ბანკებმა“ ცვლად საპროცენტო განაკვეთზე მიბმული სესხები მიმოიხილა. 2018 წლის 1 აპრილის მდგომარეობით ცვლად საპროცენტო განაკვეთზე მიბმული 49.829 სესხია გაცემული. მათი აბსოლუტური უმრავლესობა რეფინანსირების განაკვეთზეა მიბმული. რეფინანსირების განაკვეთის 7.25%-ზე შენარჩუნებით მსესხებლებს საპროცენტო განაკვეთი არ შეეცვალათ. დღესდღეობით ცვლად საპროცენტო განაკვეთზე მიბმული 2.183.8 მლნ ლარის მოცულობის სესხია გაცემული.

1 მარტიდან 1 აპრილამდე გაცემული სესხების რაოდენობა გაიზარდა 2330-ით, ხოლო მთლიანი პორტფელი – 2,062 მილიონიდან 2.183.8 მილიონ ლარამდე.

49.829 ხელშეკრულებიდან 17.949 სამომხმარებლო ტიპის სესხია, მოცულობა კი 285,3 მილიონი ლარი. ლარში გაცემული სამომხმარებლო სესხების საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა, 1 აპრილის მდგომარეობით, 16.6% შეადგინა.

რაოდენობრივად პირველ ადგილზეა უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები. რეფინანსირების განაკვეთზე 1 აპრილის მონაცემებით 18358 სესხია მიბმული, საშუალოდ 12.07%-ში. მთლიანი პორტფელი კი 744,5 მილიონი ლარია.

10,709 ხელშეკრულებაა გაფორმებული ბიზნესსესხების გასაცემად. მთლიანი პორტფელი 1096,89 მილიონი ლარია. აქედან მცირე და საშუალო ბიზნესის დასაფინანსებლად ბანკებმა 385,4 მილიონი ლარი გასცეს, საშუალოდ 15.1%-ში, ხოლო მსხვილი ბიზნესი კი, 1 აპრილის მონაცემებით, 711,5 მილიონი ლარით დააკრედიტეს, საშუალო შეწონილ 12.1%-ში.

ყველაზე მცირე რაოდენობით გაცემულია რეფინანსირების განაკვეთზე მიბმული ავტოსესხი. სულ 1 აპრილის მონაცემებით 674 ხელშეკრულებაა გაფორმებული. 11,992 ათასი ლარი ბანკებმა საშუალოდ 17.7%-ში გაასესხეს.

ასევე გაცემულია 2.139 ცვლად საპროცენტო განაკვეთზე მიბმული სესხი, რომელთა კონკრეტული მიზნობრიობა უცნობია. ამ სესხების მთლიანი მოცულობა 45,2 მილიონი ლარია.

ცვლად საპროცენტო განაკვეთზე მიბმული სესხები 1 აპრილის მდგომარეობით ლარში გაცემული მთლიანი საკრედიტო პორტფელის 22%-ია. მათ შორის ყველაზე მეტია ბიზნესსესხი, ხოლო ყველაზე დაბალი საპროცენტო განაკვეთი იპოთეკურ სესხებზეა.

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ცვლად საპროცენტო განაკვეთზე მიბმული სესხების პორტფელი გაზრდილია 1.071,81 მილიონი ლარით, ხოლო საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები 11.5%-დან 13.1%-მდე გაიზარდა. „საზოგადოება და ბანკების“ აზრით, საპროცენტო განაკვეთების ზრდა განაპირობა ლარის რესურსზე გაზრდილმა მოთხოვნამ და ვფიქრობთ, გაზრდილი ეკონომიკური აქტივობის ფონზე მოთხოვნა მიმდინარე წელსაც შენარჩუნდება.

კომერსანტი

ხელისუფლების წარმომადგენლები ე.წ. ჩრდილოვანი ეკონომიკის საფრთხეს ქმნიან

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი კოვზანაძე „საქართველოს ბიზნესასოციაციის“ ხელმძღვანელებს შეხვდა. შეხვედრაზე კომიტეტის თავმჯდომარემ ბიზნესსექტორის წარმომადგენლებთან ერთად საპენსიო და კაპიტალის ბაზრის ჩამოყალიბებისთვის დაგეგმილი რეფორმები და საფინანსო სექტორში განხორციელებული ცვლილებები განიხილა.

რადიო კომერსანტის გადაცემაში „კომერსანტის თემა სალომე სოსელიასთან ერთად“ „საქართველოს ბიზნესასოციაციის“ ვიცეპრეზიდენტმა ლაშა პაპაშვილმა განაცხადა, რომ არსებული რეგულაციები დაჩქარებული ტემპითაა მიღებული. ვიცე-პრეზიდენტის თქმით, ისინი აპირებენ, ყველა ინსტანციაზე დააფიქსირონ ასოციაციის აზრი და ისაუბრონ იმ სამომავლო საფრთხეების შესახებ, რომლებიც მიღებულ რეგულაციებს უკავშირდება.

– ხელისუფლების წარმომადგენლები ქმნიან „ჩრდილოვანი ეკონომიკის“ საფრთხეს. სინამდვილეში, სახელმწიფომ ხელმისაწვდომი საპროცენტო განაკვეთების შექმნაზე უნდა იზრუნოს და არა რეგულაციების გატარებაზე. ხელოვნური ბერკეტით შეუძლებელია ამ პრობლემის მოგვარება. სახელმწიფოს აქვს საშუალება გაატაროს სხვადასხვა მონეტარული, ფისკალური რეგულაცია და არ შეეხოს ბანკებს, იმ 15 ბანკს, რომლებიც ქმნიან მთლიან საბანკო სისტემას საქართველოში. სწორი იქნება, თუ რეგულაციები შეეხება მიკროსაფინანსო ინსტიტუტებსა და ონლაინსესხებს.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტთან შეხვედრაზე ჩვენ მოვითხოვეთ რეგულაციების გაუქმება, ვინაიდან ისინი არა მარტო ბანკებს დააზარალებს, არამედ მსხვილი სავაჭრო ცენტრების ბრუნვის განახევრებას გამოიწვევს. წარმოიდგინეთ ეს არის ერთიანი ჯაჭვი და რეგულაციები ჩვენს ეკონომიკაზე აუცილებლად უარყოფითად აისახება.

რაც შეეხება საპენსიო რეფორმას, მივიჩნევთ რომ საჭიროა უფრო მეტი აგრესიული და ქმედითი ნაბიჯი გადაიდგას ამ კუთხით, – განაცხადა „საქართველოს ბიზნესასოციაციის“ ვიცეპრეზიდენტმა ლაშა პაპაშვილმა.

კომერსანტი

„სესხების გადამხდელუნარიანობის შეფასების მიხედვით გაცემა საპროცენტო განაკვეთებს შეამცირებს“

– თუ მსესხებლის გადამხდელუნარიანობის შესწავლა/შეფასება მოხდება, ის გაცილებით დაბალპროცენტიან სესხს მიიღებს.

ამის შესახებ ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კობა გვენეტაძემ მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა.

– თუ მსესხებლის გადამხდელუნარიანობის შესწავლა მოხდება, ასეთი მსესხებელი გაცილებით დაბალპროცენტიან სესხს მიიღებს. შესაბამისად, სარგებელი იქნება ორმხრივი – ბანკსაც აღარ ექნება ის რისკი, რომ შესაძლოა, დადეფოლტება მოხდეს და მსესხებელსაც არ ექნება რისკი, რომ შემოსავლის შეფასების გარეშე, მაღალ პროცენტად მიღებულ სესხს ვერ მოემსახურება და უარყოფით სტატუსს მიიღებს საკრედიტო ბიუროში.

ამავე დროს, იმ ქვეყნების გამოცდილება, სადაც ასეთი ზომები მიიღეს, აჩვენებს,

რომ იმ ხალხმა, რომელთა გადამხდელუნარიანობის შესწავლაც მოხდა, სესხების მიღება უფრო დაბალი საპროცენტო განაკვეთებით შეძლეს, – აღნიშნა გვენეტაძემ.

მანვე ახალი საბანკო რეგულაციების რისკებზეც ისაუბრა. „შავი, ე.წ. ჩრდილოვანი ბაზარი ყოველთვის არსებობდა და ახლაც არსებობს. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მოთხოვნა ასეთ სესხებზე იქნება, არ ვფიქრობ, რომ ეს შავ ბაზარზე გადაინაცვლებს. ასეთი სესხები დიდ, აგრესიულ რეკლამას საჭიროებს და ამ ზომაზე გასვლა საკმაოდ რთული იქნება, – განაცხადა გვენეტაძემ.

ბპნ

მამუკა ბახტაძე: „ევროპის საინვესტიციო ბანკი სრულად უჭერს მხარს ჩვენ მიერ ინიცირებულ რეფორმას“

ევროპის საინვესტიციო ბანკი სრულად უჭერს მხარს ჩვენ მიერ ინიცირებულ რეფორმას, რომელიც მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერას ეხება, – განაცხადა ფინანსთა მინისტრმა მამუკა ბახტაძემ ევროპის საინვესტიციო ბანკის ვიცეპრეზიდენტ ვაზილ ჰუდაკთან გუშინ გამართული შეხვედრის შემდეგ.

როგორც ფინანსთა მინისტრმა აღნიშნა, საუბარია ინიციატივაზე, რომელიც მცირე და საშუალო მეწარმეებს საშუალებას მისცემს, ჰქონდეთ წვდომა იაფიან კაპიტალზე.

– ევროკომისიის ფარგლებში, ევროპის საინვესტიციო ბანკი იხილავს შესაძლებლობას, რათა საქართველოში დავიწყოთ ისეთი ტიპის ფინანსური ინსტრუმენტების დანერგვა, რომელიც საშუალებას მოგვცემს კიდევ უფრო მეტად წავახალისოთ საშუალო და მცირე ბიზნესი საქართველოში და როგორც შედეგი, მივიღოთ ისეთი ტიპის ეკონომიკური ზრდა, რომელიც შეეხება ჩვენს თითოეულ მოქალაქეს. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი წინაპირობა იმისთვის, რომ საქართველოში დავამარცხოთ სიღარიბე, – განაცხადა ფინანსთა მინისტრმა, მამუკა ბახტაძემ. მან მადლობა გადაუხადა ევროპის საინვესტიციო ბანკს აღნიშნული რეფორმის მხარდაჭერისთვის.

– ეს პროგრამა იქნება უნიკალური საშუალება, რათა საქართველოში კიდევ უფრო მეტად განვავითაროთ საშუალო და მცირე მეწარმეობა და ჩვენს მეწარმეებს ჰქონდეთ წვდომა იაფიან სასტარტო კაპიტალზე, რაც საშუალებას მოგვცემს საქართველოში განხორციელდეს ეკონომიკურად მიზანშეწონილი ყველა პროექტი, – აღნიშნა მამუკა ბახტაძემ.

შეხვედრაზე ფინანსთა მინისტრმა კიდევ ერთხელ, ხაზი გაუსვა ევროპის საინვესტიციო ბანკთან თანამშრომლობის მნიშვნელობას და განაცხადა, რომ ბოლო წლების განმავლობაში, საქართველომ აღნიშნულ ფინანსურ ინსტიტუტთან მნიშვნელოვნად გაზარდა თანამშრომლობის ფორმატი. როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, წელს ბანკი 250 მლნ ევროს დახარჯვას გეგმავს ინფრასტრუქტურულ პროექტებში, რაც მნიშვნელოვანია მდგრადი ეკონომიკური განვითარებისა და ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის ზრდისთვის.

კომერსანტი

„რატომ არ დაეხმარა, როცა ბავშვები ერთმანეთს ხოცავდნენ?!

თბილისში, ხორავას ქუჩაზე მოკლული დავით სარალიძის მამა, ზაზა სარალიძე, აცხადებს, რომ სასამართლოს წინაშე დაკითხულმა მოწმემ „დაადასტურა, რომ წითელი „ჯიპის“ პატრონმა ბავშვები მიატოვა და გაიქცა“.

სარალიძე პროკურატურას უმოქმედობაში ადანაშაულებს და ამბობს, რომ მიუხედავად მოწმის განცხადებისა, ბრალდების მხარეს ამ გარემოებაზე ყურადღება არ გაუმახვილებია და რეაგირება არ მოუხდენია.

– ის ადამიანი უკვე დაკითხულია და ამბობს, არ შემიმჩნევია ჩხუბიო, მოწმემ კი დაადასტურა, რომ ის ყველაფერს ნათლად ხედავდა. ის ადამიანი იქ რომ იდგა, ლევანი დადუნაშვილი დაჭრილიც არ იყო, შეეძლო ხელი შეეშალა და ლევანიც არ მომკვდარიყო. შეიძლება ჩემს შვილს ფარდულში ვერ ხედავდა, მაგრამ ლევანს ნათლად ხედავდა, დანა როგორ დაარტყეს. ეს ადამიანი იმ შენობაში არსებულ ოფისში მძღოლად მუშაობს. ეს მეორე მოწმეა, რომელმაც შემთხვევის ადგილზე იმ „ჯიპის“ ყოფნა დაადასტურა და პროკურატურის მხრიდან რატომ არ არის რეაგირება, ვერ ვხვდები.

ჩემთვის ძალიან საინტერესოა, რატომ არ დაეხმარა, როცა ბავშვები ერთმანეთს ხოცავდნენ. ყველაფერს შეხედა თავიდან ბოლომდე, იცის, ვინ დაარტყა დანა, მაგრამ ვიღაცის ეშინია. ეს ადამიანი როცა იკითხებოდა, იმდენად დაბნეული და შეშინებული იყო, თვალს ვერ მისწორებდა. მაშინვე შევატყვე, რომ რაღაც იცოდა და მალავდა, – განაცხადა მან.

ოზურგეთში მშვიდობაძეების ოჯახი გაქურდეს

ოზურგეთში ავტომანქანების ქურდობის „ტრადიცია“ აღდგა.

ცხემლისხიდსა და შემოქმედში რამდენიმე საპატრულო მანქანა მორიგეობს.

გამოძიებისათვის დაუდგენელმა პირებმა ამ სოფლის მკვიდრი, 85 წლის იური მშვიდობაძე გაქურდეს.

მშვიდობაძეს ავტოფარეხიდან „ოპელის“ ფირმის ავტომობილი მოჰპარეს.

ოჯახის წევრებმა ჩვენთან საუბარი არ ისურვეს, მაგრამ, როგორც მეზობლები აღნიშნავენ, ქურდობა გუშინ ღამით, პირველი საათის მერე მოხდა.

სახლში 85 წლის მოხუცი მარტო ცხოვრობს და მას არაფერი გაუგია.

მეზობლების თქმით, ავტომანქანის გარდა, წაღებულია პლაზმური ტელევიზორი და წყლის საქაჩი.

აღსანიშნავია, რომ ოზურგეთში ავტომანქანების ქურდობა 10 წელზე მეტია, არ მომხდარა, უფრო კონკრეტულად, მას შემდეგ, რაც „ერგნეთის ბაზრობა“ დაიხურა, ავტომანქანების ქურდობები შეწყდა.

ბოლო ორი კვირის განმავლობაში ეს ოზურგეთის რაიონის სოფელ ცხემლისხიდში მომხდარი მეორე შემთხვევაა. რამდენიმე დღის წინ, სოფლის ცენტრში დღემდე გამოძიებისათვის დაუდგენელმა პირებმა მომსახურეობის ცენტრი დააყაჩაღეს, პენსიის რიგში მდგომი პენსიონერები ცემეს, ერთს კი მანქანა გასტაცეს და მიიმალნენ.

გიორგი გახარია: „საპატრულო პოლიცია არა მხოლოდ მართლწესრიგზე, არამედ ჩვენი მოქალაქეების კომფორტზეც ზრუნავს“

– საპატრულო პოლიცია ზრუნავს არა მხოლოდ მართლწესრიგზე, არამედ ჩვენი მოქალაქეების კომფორტზეც.

ამის შესახებ შს მინისტრმა სამინისტროში ერთიანი სერვისების ცენტრის პრეზენტაციაზე განაცხადა.

– პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ დღეს ჩვენ წარმოვადგინეთ შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე რეფორმების მორიგი შედეგები. ეს არის ერთიანი სერვისების ცენტრი, სადაც ჩვენი მოქალაქეები სწრაფად და ეფექტურად მიიღებენ დაახლოებით 50 სხვადასხვა სახის სერვისს. ეს ის სერვისებია, რომელსაც დაახლოებით 25 წელია ჩვენი მოქალაქეები იღებდნენ თბილისში სხვადასხვა ლოკაციებზე და ხარჯავდნენ რამდენიმე დღეს. მათ შეეძლებათ ხვალიდან უკვე ერთ სივრცეში რამდენიმე წუთში მიიღონ ეს სერვისები მაღალ დონეზე. ეს არის ერთ-ერთი საუკეთესო სერვისის სივრცე, რომელიც დღეს ქალაქში არსებობს, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიების უმაღლეს დონეზე და კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საპატრულო პოლიცია ზრუნავს არა მხოლოდ მართლწესრიგზე, არამედ ჩვენი მოქალაქეების კომფორტზეც, იქ, სადაც საპატრულო პოლიცია თავისი კომპეტენციის ფარგლებში სახელმწიფო სერვისებს აწვდის ჩვენს მოქალაქეებს, – განაცხადა გიორგი გახარიამ.

საკრებულოს ყოფილ დეპუტატ ზურაბ ნეფარიძეს 11 წლით პატიმრობა მიესაჯა

თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და გამოძალვით ქრთამის აღების, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით თაღლითურად დიდი ოდენობით თანხის დაუფლებისა და შრომის კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებზე ბრალდებული ზ.ნ. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (ოთხი ეპიზოდი), 180-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტით (სამი ეპიზოდი) და 169-ე მუხლით.

– სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი ზ.ნ. ბიუროში დასაქმებული პირის ა.ნ.-ს დახმარებით ბიუროს ოთხ თანამშრომელს, სამსახურიდან გათავისუფლების მუქარით ქრთამის სახით სძალავდა მათთვის ყოველთვიურად დარიცხული ხელფასის ნაწილს. აღნიშნული გზით ზ.ნ.-მ 2014-2017 წლის პერიოდში თანამშრომლებს ქრთამის სახით 16040 ლარი გამოსძალა.

ასევე გამოძიებით დადგინდა, რომ ზ.ნ. სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, დაეუფლა მაჟორიტარის ოფისის ფუნქციონირებისთვის თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გამოყოფილ თანხებს.

ზ.ნ.-მ თავის ბიუროში ფიქტიურად დაასაქმა მისი შვილის მეგობარი მ.ლ., რომელსაც, წინასწარი შეთანხმების თანახმად, ყოველთვიურად ერიცხებოდა ხელფასი, ხოლო რეალურად აღნიშნულ თანხას მართლსაწინააღმდეგოდ ისაკუთრებდა ზ.ნ., რითაც ის 2014 წლის 15 აგვისტოდან 2017 წლის 31 მარტის ჩათვლით თაღლითურად დაეუფლა საკრებულოს კუთვნილ, დიდი ოდენობით 36 552,5 ლარს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ზ.ნ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და საბოლოო სასჯელის სახედ და ზომად 11 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, – აცხადებენ საგამოძიებო უწყებაში.

ოჯახური დანაშაულის საქმეებზე დღეიდან მხოლოდ სპეციალიზებული პროკურორები და გამომძიებლები იმუშავებენ

1-ლი მაისიდან ოჯახური დანაშაულის საქმეებზე მხოლოდ სპეციალიზებული პროკურორები და გამომძიებლები იმუშავებენ.

ამის შესახებ ინფორმაციას მთავარი პროკურატურა ავრცელებს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ პროკურატურიდან აცნობეს, საქართველოს მთავარ პროკურატურაში ოჯახური დანაშაულის საქმეებზე სპეციალიზებულ პროკურორებთან და გამომძიებლებთან შეხვედრა გაიმართა. ღონისძიება საქართველოს მთავარმა პროკურორმა ირაკლი შოთაძემ და გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენელმა ერიკა კვაპილოვამ გახსნეს. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ გაეროს ქალთა ორგანიზაციის, შვედეთის საელჩოსა და საქართველოს პროკურატურის წარმომადგენლები.

როგორც შეხვედრაზე მთავარმა პროკურორმა განაცხადა, ოჯახური დანაშაულის საქმეებზე სპეციალიზაციის პროცესის განხორციელება უმნიშვნელოვანესი ინიციატივაა, რაც პირდაპირ აისახება საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლებასა და დაზარალებულთა ინტერესების დაცვაზე. ირაკლი შოთაძის თქმით, ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლა, პრევენციული მექანიზმების დახვეწა, სისტემის წარმომადგენელთა კვალიფიკაციისა და საქმიანობის ხარისხის ამაღლება საქართველოს პროკურატურისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია.

მთავარი პროკურორის ბრძანებით, 2018 წლის 1-ლი მაისიდან ოჯახური დანაშაულის საქმეებზე მხოლოდ სპეციალიზებული პროკურორები და გამომძიებლები იმუშავებენ.

საქართველოს მთავარმა პროკურორმა ოჯახური დანაშაულის საქმეებზე სპეციალიზებულ პროკურორებს და გამომძიებლებს სპეციალიზაციის კურსის წარმატებით გავლა მიულოცა, სერტიფიკატები გადასცა და იმედი გამოთქვა, რომ პროფესიონალთა სპეციალიზაციის პროცესი და სახელმწიფოს თანმიმდევრული მიდგომა მნიშვნელოვნად გაზრდის სამართალდამცავთა მიმართ დაზარალებულთა ნდობასა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობას.

საქართველოს პროკურატურაში ოჯახური დანაშაულის საქმეებზე სპეციალიზაცია სულ 101-მა პროკურორმა და სისტემის გამომძიებელმა გაიარა. სასწავლო პროგრამა, რომელიც გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით განხორციელდა, ეროვნულ და საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან ერთად, ძალადობის შედეგად დაზარალებულებთან სწორი კომუნიკაციის უნარებსა და ფსიქოლოგიურ ასპექტებს მოიცავდა.

შსს-მ საკირის ტყის ხანძარზე გამოძიება დაიწყო

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ საკირეს მიმდებარე ტერიტორიაზე ხანძართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის მეორე ნაწილით დაიწყო, რაც ნივთის დაზიანებას ან განადგურებას, ჩადენილს ცეცხლის წაკიდებით, აფეთქებით ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებით გულისხმობს და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე.

საკირის ტყეში ცეცხლი გუშინ საღამოს გაჩნდა და დაახლოებით 5-6 ათას კვადრატულ მეტრზეა გავრცელებული.

საგანგებო სიტუაციების მართვის საგენტოს ინფორმაციით, ადგილზე სახანძრო-სამაშველო ტექნიკა და 60 მეხანძრე მაშველია მობილიზებული.

მათივე ცნობით, ხმელი ხეები და ბუჩქები იწვის.

ავარია ჭიათურაში — გარდაცვლილია 2 ადამიანი

ჭიათურაში ტრაილერისა და სამარშრუტო ტაქსის შეჯახების შედეგად 2 ადამიანი გარდაიცვალა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით მიმდინარეობს, რაც სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის წესების დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია და ითვალისწინებს 4-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას.

2018, 2 მაისი, №102

ისრაელმა სირიას დაარტყა

რუსეთის სატელიტი სირია კვლავ დარტყმის ქვეშ მოექცა. ამჯერად მის ტერიტორიას ისრაელის რაკეტები დაეცა. დარტყმა ჰომსსა და ალეპოში განთავსებულ სირიის სამხედრო ბაზებზე განხორციელდა.

დაღუპულია 26 ჯარისკაცი. მათ შორის არიან როგორც ასადის მომხრეები, ასევე ირანული ტერორისტული დაჯგუფება „ჰეზბოლას“ მებრძოლები. ყველა რაკეტამ მიზანს მიაღწია. რუსული ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებები ამჯერადაც უძლურნი აღმოჩნდნენ.

– სირია კვლავ დაბომბეს! საერთაშორისო სამართალი ამჯერადაც უხეშად დაირღვა, – აცხადებს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლავროვი.

თავად ასადმა მომხდარს მისი ქვეყნის წინააღმდეგ განხორციელებული შეიარაღებული აგრესია უწოდა. მისი აზრით, სირიის წინააღმდეგ ორგანიზებული შეთქმულება არსებობს, რომლის სათავეშიც აშშ და ისრაელი დგანან.

– მათ სირიის დაშლა სურთ, – ამტკიცებს დიქტატორი.

სინამდვილეში ალეპოს და ჰომსის ბაზებზე დარტყმას წინ ასადელთა აგრესია უსწრებდა. სირიის დიქტატორის მომხრე ფორმირებებმა კვლავ სცადეს დაირ-აზ-ზორში გამაგრებულ სირიის დემოკრატიულ ძალებზე იერიში. ამას საპასუხო რეაქცია მოჰყვა.

პეტრო პოროშენკო: „ატო დასრულდა, იწყება ახალი ეტაპი!“

უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ ხელი მოაწერა ბრძანებას დონბასში ანტიტერორისტული ოპერაციის (ატო) დასრულების შესახებ. მის ნაცვლად დაიწყო ახალი ეტაპი, გაერთიანებულ ძალთა ოპერაცია, რომლის მიზანია დონბასიდან რუსი ოკუპანტების განდევნა.

– ახლა ოპერაციის ხელმძღვანელობა დაეკისრება გაერთიანებულ შტაბს, რომელსაც სათავეში გენერალი ნაევი ჩაუდგება, – თქვა პოროშენკომ.

დონბასელ სეპარატისტთა ლიდერის ზახარჩენკოს აზრით, უკრაინა ფართომასშტაბიანი შეტევისთვის ემზადება. ის ამტკიცებს, რომ მალე უკრაინელები ახალ დასახლებულ პუნქტებს დაიკავებენ.

– დონბასის მოსახლეობის ერთადერთი ხსნა რუსეთია! ჩვენ მზად ვართ, რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შევიდეთ, ოღონდაც რუსეთმა არმიის დამატებითი ნაწილები შემოიყვანოს და უკრაინელი ფაშისტებისგან დაგვიცვას, – ამბობს ზახარჩენკო.

უკრაინელი ექსპერტი ვადიმ კარასიოვი ასეთ პანიკურ განცხადებებს პროვოკაციას უწოდებს. მისი აზრით, დონბასთან დაკავშირებით კომპრომისი გარდაუვალია, რომელიც 2019 წელს განხორციელდება.

– შემდეგ ამას მოჰყვება განაღმვა, უკანონო შეიარაღებულ ფორმირებათა განიარაღება. არჩევნებიც მხოლოდ ამის შემდეგ ჩატარდება, – თვლის კარასიოვი.

აშშ-მ უკრაინას ჯაველინები მიაწოდა

ამერიკული ჯაველინები უკრაინაში ჩაიტანეს.

პეტრო პოროშენკომ აშშ-ის ხელისუფლებას მადლობა გადაუხადა. უკრაინის ლიდერმა აღნიშნა, რომ დასავლეთი რუსეთთან ბრძოლისას მის ქვეყანას გვერდით უდგას.

– იმედი მაქვს, რომ აშშ და დიდი შვიდეულის წევრი ქვეყნები უკრაინას მხარს მომავალშიც დაუჭერენ, – განაცხადა პოროშენკომ.

პენსილვანიის უნივერსიტეტის ანალიტიკური ცენტრის ხელმძღვანელმა მაიკლ კარპენტერმა უკრაინისთვის ჯაველინების მიწოდებას ისტორიული მოვლენა უწოდა.

– ეს სიგნალია კრემლისთვის, რომ უკრაინა ამერიკელთა ქოლგის ქვეშ იმყოფება. ჯაველინები რუსულ ტანკებს შეაჩერებენ, – თქვა ექსპერტმა.

მან ხაზი გაუსვა იმასაც, რომ რუს ოკუპანტზე გამარჯვებისთვის მარტოოდენ ჯაველინების მიწოდება საკმარისი არაა.

– უკრაინამ ბრძოლისუნარიანი არმია შექმნა, მაგრამ ეს მხოლოდ საწყისი ეტაპია! აუცილებელია ამ არმიის გაძლიერება, საამისოდ კი შეიარაღებულ ძალებში ძირეული რეფორმების გატარებაა აუცილებელი, – ამბობს კარპეტნერი.

საპროტესტო აქცია მოსკოვში

მოსკოვში „ტელეგრაფის“ დამცავი აქცია ჩატარდა. აკადემიკოს სახაროვის სახელობის პროსპექტზე 8.000-მდე ადამიანი შეიკრიბა. ისინი სკანდირებდნენ: „არა ინტერნეტზე კონტროლის დაწესებას!“ „გაუმარჯოს თავისუფალ რუსეთს“ და ა.შ.

აქცია ექსცესების გარეშე დასრულდა.

ტრამპი ნიგერიის პრეზიდენტს შეხვდა

აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ნიგერიის ლიდერ მოჰამედ ბუჰარის შეხვდა. მოლაპარაკებების ძირითადი თემა ტერორიზმთან ბრძოლა, აგრეთვე აშშ-ნიგერიას შორის თანამშრომლობა იყო.

ნიგერია აფრიკის ერთ-ერთი მჭიდროდ დასახლებული ქვეყანაა. მისი მოსახლეობა 200 მილიონს აღწევს. ქვეყანაში უმწვავესი ეკონომიკური კრიზისია. სიტუაციას ისიც ართულებს, რომ იქ ექსტრემისტული ორგანიზაცია „ბოკო ჰარამი“ მოქმედებს. მას ნიგერიაში ისლამური ხალიფატის მსგავსი სტრუქტურის შექმნა სურს.

ეკონომიკური თანამშრომლობა პლუს ტერორიზმთან ბრძოლა, – ესაა ის ძირითადი საკითხები, რომლებიც ნიგერიის ლიდერმა ტრამპთან შეხვედრისას განიხილა.

ტრამპი კიმს „მშვიდობის სახლში“ შეხვდება

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ სურს კიმ ჩენ ინს სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეის საზღვარზე შეხვდეს.

– იდეალური იქნება, თუკი ჩვენი შეხვედრა „მშვიდობის სახლში“ გაიმართება, იქ, სადაც სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეის ლიდერები შეხვდნენ ერთმანეთს, – თქვა ტრამპმა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სახალხო მკურნალილამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.

ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების თავიდან აცილება, ნერვული სისტემის და ღვიძლის პრობლემების ნორმალიზება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით, ტელ: 599-25-44-14 ექიმი მზია, 218-48-99 (სამსახ.). მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● პოტენციის დაქვეითებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციების ნორმალიზება, პროსტატის ჯირკვლისა და შარდვის პროცესების მოწესრიგება, ბაქტერიულ-სოკოვან ინფექციათა საწინააღმდეგო მოქმედება იმუნიტეტის გაძლიერებით, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან უჯრედულ დონეზე. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით. ტელ: 595-293-299; 218-46-08 (სამსახ.) ექიმი ინგა. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-5 სმ-ის მომატებით ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით+ვარჯიშები. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე გახდომა 5-15 კგ თვეში რაციონის შეუცვლელად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, სწრაფად და ეფექტურად. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● ძვლის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება – კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ართრიტის დროს. დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის ნორმალიზება მცენარეული საშუალებებით, საუკეთესო შედეგით. ტკივილისა და შებოჭილობის სინდრომის შემცირება უკუჩვენების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართაპრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

შეიხის ფულები ანდალუზიაში არ ჭრის

ბოლო პერიოდში ევროპულ ფეხბურთში არაერთი ფაქტია იმისა, რომ არაბმა შეიხებმა პატარა გუნდები შეისყიდეს. რამდენიმე მათგანი მეტნაკლებად ანგარიშგასაწევ ძალად იქცა, ბევრი პროექტი კი ჩავარდა.

კარგი მაგალითებია პარი სენ ჟერმენი და მანჩესტერ სიტი. შესაძლოა, არც ერთი და არც მეორე, ჩემპიონთა ლიგაზე ესოდენ სანატრელ შედეგს ვერ უახლოვდებიან, მაგრამ ფაქტია, ამაზე პრეტენზიას ნამდვილად აცხადებენ.

დაახლოებით ასეთივე გზა უნდა გაევლო ესპანურ მალაგასაც, რომელიც შეიხურმა ბიზნესმა შეისყიდა და ანდალუზიაში დიდი იმედი გაჩნდა. თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა, მალაგა ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალშიც გამოჩნდა. ეს იყო სულ რაღაც 5 წლის წინ...

გავიდა 5 წელი და კლუბმა სრული ფიასკო განიცადა – მალაგა ლა ლიგიდან გავარდა და დამდეგი სეზონიდან ელიტაში დასაბრუნებლად მოუწევს ბრძოლა.

როდესაც 2010 წელს, აბდულ ბინ ნასერ ალ-ტანი ყატარელი შეიხი მალაგას პრეზიდენტი გახდა, დიდი ხარჯები არ გაუწევია. პირველი სატრანსფერო ნაბიჯები ჟულიო ბაპტიშტასა და მარტინ დემიკელისის ანდალუზიაში გადაბარგება გახლდათ. მთავარ მწვრთნელად კი მანუელ პელეგრინის მიწვევა, რომელმაც სახელი ვილიარეალში დაიგდო, ხოლო მერე მადრიდის რეალში მუშაობდა.

სეზონი არცთუ სახარბიელოდ დასრულდა – მალაგა მხოლოდ მე-11 ადგილზე გავიდა. ეს ძალიან ცოტა იყო იმ შეიხისთვის, რომელსაც საფეხბურთო რუკაზე დამკვიდრება სურდა.

2011 წლის ზაფხულში უკვე უფრო ქმედითი და სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა. „ლა როსალედაზე“ აღმოჩნდნენ კარლოს კამენი, ჟერემი ტულალანი, იორის მატიისენი, ნაჩო მონრეალი, სანტი კაზორლა, ხოაკინი და, რაც მთავარია, რუუდ ვან ნისტელროი. გარდა ამისა, ვალენსიადან ერთობ ნიჭიერი, ისკო გადმოიბირეს. გუნდი უკვე მზად იყო დიდი ნახტომისთვის.

ამჯერად ინვესტიციამ გაამართლა და 2011-12 წლების სეზონი ანდალუზიურმა გუნდმა მეოთხე ადგილზე დაასრულა და მხოლოდ 3 ქულით ჩამორჩა მესამეადგილოსან ვალენსიას.

პელეგრინის ბიჭები ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ისტორიაში პირველად გავიდნენ. პრობლემა არც იქ შექმნილა და ათენის პანათინაიკოსი დაამარცხეს. ამას მოჰყვა ჯგუფური ეტაპის უპრობლემოდ გავლა და მერვედფინალი პორტუს წინააღმდეგ, რომელიც ესპანელთა გამარჯვებით დასრულდა.

შემდეგ იყო მეოთხედფინალი. დრამატული მეოთხედფინალი... „ლა როსალედაზე“ დორტმუნდთან მატჩში გოლი არ გასულა, ხოლო საპასუხო შეხვედრაში საოცრებები მოხდა. მალაგამ ხოაკინის გოლით შეძლო ორრაუნდიან სერიაში დაწინაურება. შემდეგ რობერტ ლევანდოვსკიმ გაათანაბრა, მაგრამ ეს ანგარიში მაინც პელეგრინის გუნდის წისქვილზე ასხამდა წყალს. 82-ე წუთზე ელიზეუმ ადგილობრივი პუბლიკა დაადუმა და თითქოს, მალაგა ნახევარფინალში გავიდა. მაგრამ...

მსაჯის პირველ დამატებულ წუთზე მარკო როისმა გაათანაბრა (ეს ანგარიშიც მალაგას აძლევდა ხელს), ხოლო 93-ე წუთზე ფელიპე სანტანამ სტუმართა ოცნება მოკლა და ასე დრამატულად დასრულდა მალაგას ხუთი წლისწინანდელი ზღაპარი ჩემპიონთა ლიგაზე.

ასეთი წარმატებული სეზონის შემდეგ მალაგას თითქოს ზრდა უნდა გაეგრძელებინა, მაგრამ ნასერ ალ-ტანიმ წამყვანი ფეხბურთელები გაასხვისა. ტულალანი 2013 წლის ზაფხულში მონაკოში გადავიდა, ხოაკინი ფიორენტინაში, ახალგაზრდა ვარსკვლავი ისკო რეალში, ხოლო მანუელ პელეგრინი მანჩესტერ სიტის თავკაცად მოგვევლინა. მისი ადგილი გერმანელმა ბერნდ შუსტერმა დაიკავა. გუნდს ევროპა ლიგაზე უნდა ეთამაშა, მაგრამ დარღვევები აღმოაჩნდა და უეფამ 1-წლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. საბოლოოდ, ლა ლიგა მე-11 ადგილზე დაასრულა. შემდეგ იყო ხავი გრასიას ფორმაციის მალაგა, მე-8 და მე-9 ადგილები 2 სეზონში. 2017 წელი კლუბის ხელმეორედ აღზევების წელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ასე არ მოხდა...

გასულ სეზონში მალაგას მძიმე პერიოდი დაუდგა. მხოლოდ მაშინ დალაგდა სიტუაცია, როდესაც გუნდი მიჩელს ჩააბარეს, რომელმაც ბოლო 11 ტურში 6 გამარჯვება და 2 ფრე მოუტანა გუნდს. საბოლოოდ, ანდალუზიელები გავარდნას გადარჩნენ და სეზონი მე-11 ადგილზე დაასრულეს. ზაფხულში კი, შეიხმა გუნდის ლიდერები კამენი, ფორნალსი, კამაჩო და სანდრო გაასხვისა, სეზონის შუაში კი, პოსტი მიჩელსაც დააბრუნებინეს.

მალაგას გულშემატკივრება უკვე მიაგნეს დამნაშავეებს, რამაც გუნდი ფატალურ შედეგამდე მიიყვანა – კლუბის ხელმძღვანელობა და, უპირველეს ყოვლისა, შეიხი ნასე ალ-ტანი. განსაკუთრებით გამოუსადეგარი გამოდგა ზამთრის სატრანსფერო ფანჯარა, როდესაც მალაგამ 8 ფეხბურთელი დაიმატა, მაგრამ რად გინდა?! ისააკ სუკესმა, მიგელმა, იტურამ და იდიემ მოლოდინი ვერ გაამართლეს. ვერც ვენესუელელმა ბერტო პენარანდამ ივარგა, რომელმაც ძირითადი დრო ტრავმებსა და კლუბის ბოსებთან კონფლიქტში გალია. საბოლოოდ, მალაგამ 2018 წელს 17 მატჩიდან ერთადერთხელ მოიგო და ქვედა ლიგაში სეზონის დასრულებამდე 5 ტურით ადრე ოფიციალურად დაქვეითდა (10 წლიანი პაუზის შემდეგ).

გარდა იმისა, რომ მალაგას სპორტული კრიზისი აქვს, შეიძლება ითქვას, კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაა ეკონომიკური თვალსაზრისით. ლა ლიგის 20 გუნდში ალ-ტანის გუნდი ფინანსურად მე-11 ადგილზეა და 22 მილიონით უსწრებს გრანადას, რომელიც ევროპა ლიგაზე გასასვლელად იბრძვის. ხელფასს უხდის 38 ფეხბურთელს და აქედან 30 ფეხბურთელს ხელშეკრულებები 2018 წლის ივნისში არ ეწურება. შესაბამისად, მალაგას ზაფხულში ბევრი მოთამაშის გაყიდვა მოუწევს. ნათელია, რომ გუნდი ბორხა ბასტონს ვერ შეინარჩუნებს, რომელსაც ლა ლიგის რომელიმე გუნდში ერთი ადგილი ნამდვილად მოეძებნება.

მალაგას კი ფეხზე წამოდგომა თავიდან, ლა ლიგა 2-დან მოუწევს...

ძიუდოს თემში ისევ აურზაურია

რამდენიმე წლის წინ ძიუდოს სამყაროში დიდი განხეთქილება იყო. როგორც იქნა, პრობლემა მოგვარდა, სიმშვიდემ დაისადგურა. როგორც ჩანს, სიმშვიდემ ქარიშხლის წინ...

თელ-ავივში გამართული ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ძიუდოს სამყარო ისევ ორად იხლიჩება. უმეტესი ევროპირველობის შემდეგ პირველი ვეტერანი ძიუდოისტი ზურაბ ზვიადაური სოციალური ქსელით ალაპარაკდა და პრესკონფერენციაც დააანონსა.

სანამ ზვიადაური პრესკონფერენციას გამართავდა, ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტმა დავით ქევხიშვილმა ასევე სოციალური ქსელით ვიდეო-მიმართვა გაავრცელა, სადაც ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების გამოსვლას გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ირაკლი ცირეკიძე და ამჟამინდელი სამწვრთნელო შტაბი ნაკრებს აღარ გაწვრთნიან.

დავით ქევხიშვილი:

– მივესალმები ქართული ძიუდოს გულშემატკივარს. პირველ რიგში, დიდი მადლობა იმ გვერდში დგომისთვის, რომელსაც ყოველთვის ვგრძნობთ ქართული ძიუდოს მიმართ. შესაბამისად, აქედან გამომდინარე, ჩავთვალეთ თავი ვალდებულად, პირველ რიგში, თქვენთვის გვთქვა შეფასება ევროპის ჩემპიონატთან დაკავშირებით და უახლოესი გეგმების შესახებ გვესაუბრა. ევროპის ჩემპიონატზე არმიღწეულ დადებით შედეგს ბევრი მიზეზი აქვს, მაგრამ ამის მოყოლას, ბუნებრივია, არ აქვს არანაირი მნიშვნელობა. თქვენთვის, ჩვენთვის, ყველასთვის მნიშვნელოვანია შედეგი, რომელიც, სამწუხაროდ, ვერ იქნა მიღწეული. თუმცა, ძალიან კარგად გვესმის, რომ ეს არის სპორტი და ყოველთვის შესაძლებელია მოხდეს მსგავსი რამ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ამ პასუხისმგებლობას არ ვიზიარებთ. აქედან გამომდინარე, მე ვესაუბრე ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელს, რომელიც სრულიად აცნობიერებს აღნიშნულ სიტუაციას. ირაკლი ცირეკიძე და სამწვრთნელო შტაბი ეროვნულ ნაკრებთან აღარ გააგრძელებენ სამწვრთნელო პროცესს. შესაბამისად, უახლოეს პერიოდში ჩამოყალიბდება, როგორ უნდა განვითარდეს მოვლენები, რომ კარგად შევხვდეთ მომავალ მსოფლიოს ჩემპიონატს.

მიუხედავად სამწვრთნელო შტაბის გადადგომისა, ზვიადაური მაინც უკმაყოფილოა და შედეგს არამარტო მწვრთნელებს, არამედ ფედერაციის ხელმძღვანელობასაც სთხოვს, რადგან ქევხიშვილი ცუდი მენეჯერია.

ზურაბ ზვიადაური:

– ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტი დავით ქევხიშვილი ერთპიროვნული მმართველია და გვერდით მყოფ ხალხს აზრს არ ეკითხება. როდესაც დავით ქევხიშვილი მოვიდა ფედერაციის სათავეში, მან თავისი გუნდი მოიყვანა. რამდენჯერმე გვქონდა მწვავე საუბარი, ის მოქმედებდა ერთპიროვნულად. მას სურდა მწვრთნელი უზნაძის გადაყენება, რომელმაც საუკეთესო შედეგი დადო იმ წელს. ჩვენ ყველანი უზნაძის გვერდით დავდექით და მან ვერ გაათავისუფლა, თუმცა უზნაძის გუნდი მოგვიანებით მაინც გაათავისუფლა და მოიყვანა საკუთარი მეგობრები, მათ შორის ირაკლი ცირეკიძე. გარდა ამისა, ახალგაზრდებს ავარჯიშებს საკუთარ დარბაზში. ორწლიანი კონტრაქტი აქვს გაფორმებული და კაცი 80-90 ლარი ჯდება, რაც დაუშვებელია. როგორ გაიზრდებიან ახალგაზრდები, თუ უფროს თაობასთან არ ექნებათ ურთიერთობა. ეს არასწორი მიდგომა და თანხების არასწორი ფლანგვაა.

გეტყვით, რომ საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა თელ-ავივში ევროპის ჩემპიონატზე წარუმატებლად იასპარეზა და ერთი მედალიც ვერ მოიპოვა.

შედეგები

30 აპრილი
ფეხბურთი

ინგლისი. ჰემპიეიჩიგა

ტოტენჰემი-უოტფორდი 2:0

სატუნინიო ცხრილი:

1.სიტი	35	30	3	2	102-26	93
2.მანჩესტერი	35	24	5	6	67-27	77
3.ლივერპული	36	20	12	4	80-37	72
4.ტოტენჰემი	35	21	8	6	68-31	71
5.ჩელსი	35	20	6	9	60-34	66
6.არსენალი	35	17	6	12	67-48	57
7.ბარნლი	36	14	12	10	35-32	54
8.ევერტონი	36	13	9	14	42-54	48
9.ლესტერი	35	11	11	13	49-52	44
10.ნიუკასლი	35	11	8	16	35-44	41
11.კრ.პალასი	36	9	11	16	41-54	38
12.ბორნმუთი	36	9	11	16	42-60	38
13.უოტფორდი	36	10	8	18	42-62	38
14.ბრაიტონი	35	8	13	14	32-47	37
15.ვესტ ჰემი	35	8	11	16	43-67	35
16.ჰადერსფილდი	35	9	8	18	27-56	35
17.სუონსი	35	8	9	18	27-52	33
18.საუთჰემპტონი	35	6	14	15	35-54	32
19.სტოკი	36	6	12	18	32-65	30
20.ვესტ ბრომვიჩი	36	5	13	18	30-54	28

ესპანეთი. ჰიმეჩა დივიზიონი

ბეტისი-მალაგა 2:1

სატუნინიო ცხრილი:

1.ბარსელონა	34	26	8	0	87-21	86
2.ატლეტიკო	35	22	9	4	55-18	75
3.რეალი	34	21	8	5	82-37	71
4.ვალენსია	35	20	7	8	62-36	67
5.ბეტისი	35	18	5	12	56-54	59
6.ვილიარეალი	34	16	6	12	49-41	54
7.ხეტაფე	35	13	10	12	40-32	49
8.სევილია	34	14	6	14	42-54	48
9.ხირონა	35	13	9	13	47-53	48
10.სოსიედადი	35	13	7	15	63-55	46
11.სელტა	35	12	9	14	54-51	45
12.ეიბარი	35	12	8	15	37-47	44
13.ალავესი	35	13	2	20	34-48	41
14.ბილბაო	35	9	13	13	38-45	40
15.ესპანიოლი	35	9	13	13	29-41	40
16.ლეგანესი	35	11	7	17	29-43	40
17.ლევანტე	35	9	13	13	34-50	40
18.დეპორტივო	35	6	10	19	34-69	28
19.ლას პალმასი	35	5	7	23	23-70	22
20.მალაგა	35	5	5	25	23-53	20

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ნიურნბერგი-ბრაუნშვაიგი 2:0

იტალია. სერია ბ

პალერმო-ბარი 1:1

საფრანგეთი. მე-2 ლიგა

რეიმსი-ლე ავრი 0:1
ლანსი-პარიზი 1:0

ჰოლანდია. ჰიმეიჩა ლიგა

ავიში-ეშტორილი 1:0

ჩუსეთი. ჰემპიეიჩიგა

უფა-ხაბაროვსკი 1:0
დინამო-რუბინი 0:0
ახმატი-ურალი 0:0
კრასნოდარი-ლოკომოტივი 2:0

თურქეთი. სუპერლიგა

ბურსა-ქონია 2:1

პოლონეთი. ექსტრაკლასი

სლასკი-ლეხია 3:1

დანია. სუპერლიგა

სილკებორგი-ორხუსი 2:5
ჰობრო-ჰელსინგერი 4:1

შვედეთი. ალსვენსკა

ბრომაპოიკარნა-ესტერსტუნდი 0:4
იორებრო-დალკურდი 3:2

ნორვეგია. ელიტსერია

სტაბეკი-ლილესტრიომი 3:2

შენგელია ჭურის საუკეთესო კალათბურთელია

ესპანეთის საუკეთესო მოთამაშის ტიტულისთვის მებრძოლი თორნიკე შენგელია ტურის საუკეთესოდ დასახელეს. ეს აღიარება სოლიდური ბონუსია ქართველი ფორვარდისთვის, რათა მთლიანი სეზონის მვპ-ის ტიტული მოიგოს.

ესპანეთის ჩემპიონატის 30-ე ტურში თორნიკე შენგელიას ბასკონიამ მურსიას დაძაბულ ბრძოლაში მოუგო. შენგელიამ შეხვედრის საუკეთესო კალათბურთელი გახდა. ქართველმა კალათბურთელი ორმაგი დუბლით გამოირჩა – 28 ქულა და 10 მოხსნა, ხოლო სარგებლიანობის ინდექსით 41-ს უწია. სწორედ ეს შედეგი გახდა ტურის საუკეთესოდ დასახელების მიზეზი: თორნიკეს შედეგი ვერავინ გადაფარა და ლიგის ხელმძღვანელობამ ქართველი ფორვარდი 30-ე ტურის მოთამაშედ დაასახელა. შენგელიამ ეს ტიტული მიმდინარე სეზონში მესამედ დაიმსახურა.

გოგა ბითაძის მეგა ბემაქსმა სერბეთის ჩემპიონატში მე-2 გამარჯვება მოიპოვა, 18 წლის ქართველ კალათბურთელს კი ორმაგ დუბლამდე ერთადერთი მოხსნა დააკლდა. მეგა ბემაქსმა სტუმრად ზლატიბორს 82:79 სძლია.

ბითაძე კი ტრადიციულად სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა და 30:11 წუთში 17 ქულა, 9 მოხსნა (2 შეტევაში), 1 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა. ბითაძემ 14-დან 7 ორქულიანი და 6-დან 3 საჯარიმო ჩააგდო, სამქულიანი ააცილა. შედეგად, ქართველი ლეგიონერის სარგებლიანობის კოეფიციენტი 17-ს გაუტოლდა და ის თანაგუნდელთა რიგებში მხოლოდ ალეკსანდარ ლაზიჩს (20) ჩამორჩა, რომელმაც 16 ქულა და 7 მოხსნა მიითვალა.

მეგა ბემაქსი სერბული ლიგის ა ჯგუფში მე-4 ადგილზე იმყოფება, მომდევნო მატჩს კი, ისევ სტუმრად, ტამისთან გამართავს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ხანდაზმულ გერმანელ ლოთებს სპირტიანი სასმელი აქვთ გამოწერილი

გერმანიის ქალაქ დიუსელდორფში წმინდა იოზეფის ხანდაზმულთა სახლის ხანდაზმული ლოთებისთვის განკუთვნილ განყოფილებაში მუდმივად იღებენ მსუბუქ სპირტიან სასმელებს, კერძოდ, წითელ და თეთრ ღვინოს, შამპანურს და ლუდს.

ალკოჰოლის აუცილებელ ოდენობას განსაზღვრავენ ექიმები და სოცმუშაკები. ამას ისინი მობინადრის შემოწმებისა და მასთან გასაუბრების შედეგად ადგენენ.

– ამ შემთხვევაში საუბარი არის არა იმაზე, რომ მოხუცები ალკოჰოლის ბოროტად გამოყენებას გადავაჩვიოთ, რაც პრაქტიკულად შეუძლებელია, არამედ თავის შეკავებაში, ალკოჰოლზე საკუთარი დამოკიდებულების გაკონტროლებაში დავეხმაროთ, – განმარტა ხანდაზმულთა სახლის დირექტორმა ტინო გაბერლემ. მისი თქმით, დღის რეჟიმი ისეა შედგენილი, რომ მათ სასმელის დალევის სურვილი გაუქრეთ.

ამ დროისთვის ხანდაზმულთა სახლში 15 ალკოჰოლზე დამოკიდებულ ხანშესულს უვლიან. მათი უმრავლესობა მამაკაცია. ერთ-ერთი მათგანი მას შემდეგ გალოთდა, როდესაც მის მიერ დაარსებული ფირმა გაკოტრდა. მეორემ ალკოჰოლზე დამოკიდებულების გამო სამსახური დაკარგა და უსახლკარო გახდა. ახლა მას დღეში სამ-ოთხ ბოთლ ლუდს აძლევენ.

ია პონელებმა ადამიანებისთვის კატის სახლის გამოშვება დაიწყეს

ერთ-ერთმა იაპონურმა კომპანიამ იმ ადამიანებისთვის, რომლებიც კატობაზე ოცნებობენ, სპეციალური სახლების გამოშვება დაიწყო.

დასაკეცი მოწყობილობა, რომელიც მომცრო კარავს წააგავს, ჩვეულებრივ კატის სახლზე ექვსჯერ უფრო დიდი ზომისაა. მისი სიგრძე და სიგანე 80 სანტიმეტრს წარმოადგენს, ხოლო სიმაღლე 65 სანტიმეტრია. კომპლექტში შედის თავსაბურავი კატის ყურების სახით. სახლის ფასი 11,7 ათასი იენია.

კომპანიაში ამტკიცებენ, რომ ასეთი ნაწარმის გამოშვების აუცილებლობას ადასტურებს მარკეტინგული კვლევები. გამოკითხვის დროს, რომელიც კომპანიის მიერ იქნა ორგანიზებული, რესპონდენტების 77,5 პროცენტმა განაცხადა, რომ ცხოვრებაში თუნდაც ერთხელ მაინც გასჩენიათ კატად ყოფნის სურვილი. გარდა ამისა, კომპანიის მონაცემებით, ტვიტერში საათში საშუალოდ 10,4 კომენტარი იბეჭდება ფრაზით „მინდა კატა ვიყო“.



შეშინებული ავსტრალიელი ზვიგენს თავს დაესხა და ნაპირზე ამოათრია

ავსტრალიაში ახალი სამხრეთ უელსის შტატში მდებარე კონცხ ლეინოკს-პოინტზე მყოფმა ერთ-ერთმა დამსვენებელმა ზვიგენი, რომელმაც ის შეაშინა, ნაპირზე ამოათრია.

მამაკაცი სერფინგით იყო დაკავებული, როდესაც მის გვერდით მტაცებელი თევზი გამოჩნდა. ის მასთან ახლოს მიცურდა და უბიძგა. ამის პასუხად სერფერმა ინსტინქტურად მას ხელები სტაცა და ნაპირისკენ გამოათრია.

– ახლა ეს სულელურ იდეად გამოიყურება, მაგრამ მაშინ ვფიქრობდი, რომ თუ მას ხელს ვტაცებდი, მაშინ ზუსტად მეცოდინებოდა, თუ სად მდებარეობდა მისი პირი, – განმარტა მან.

ავსტრალიელმა ზვიგენთან გამკლავება შეძლო და ის ნაპირზე ამოათრია. ფოტოსურათზე, რომელიც ინციდენტის შემდეგ იქნა გადაღებული, ის ქვიან პლიაჟზე მკვდარ თევზთან პოზირებს, რომლის სიგრძეც მოზრდილ ადამიანს უტოლდება.

მსოფლიოში ყველაზე ბებერი ობობა მოკვდა

მეცნიერებისთვის ცნობილი გახდა ავსტრალიელი დღეგრძელი ობობას სიკვდილი, რომლის ცხოვრებას 1970-იანი წლებიდან აკვირდებოდნენ. ამაზე საუბარია კერტინსკის უნივერსიტეტის პრეს-რელიზში.

Gaius villosus-ის სახეობის ობობა ავსტრალიის დასავლეთ ნაწილშია გავრცელებული. მან 43 წლამდე მიაღწია. ეს შემთხვევა აღწერილი იქნა ჟურნალში Pacific Conservation Biology.

– რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ის ყველაზე ბებერი ობობა იყო, რომელზეც სათანადო ჩანაწერები არსებობს, – აღნიშნა პუბლიკაციის თანაავტორმა ლეანდა მეისონმა. დღემდე რეკორდსმენად ითვლებოდა ტარანტული, რომელიც მექსიკაში 28 წლის ასაკში მოკვდა.

რეკორდსმენი ობობას ასაკი ცნობილი გახდა ობობების პოპულაციაზე მუდმივი დაკვირვების წყალობით, რომელსაც დასავლეთ ავსტრალიაში 1974 წლიდან ავსტრალიელი ბიოლოგი ბარბარა იორკ მეინი აწარმოებდა. როდესაც ის პენსიაზე გავიდა, მისი დაწყებული საქმე სხვა მკვლევარებმა გააგრძელეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

გაქცეულ ღორთან ჭიდილში პოლიციელები დამარცხდნენ

კანადის ონტარიოს პროვინციის ქალაქ ინისფილში, პოლიციელები ღორს დაეჭიდნენ, ვერაფერი დააკლეს და დახმარება გამოიძახეს.

პოლიციელებმა ქუჩაში მოსეირნე ცხოველი შენიშნეს და გადაწყვიტეს, ის გზის მანქანის სავალი ნაწილიდან გაეგდოთ. პოლიციის სერჟანტ ტოდ ფერიეს თქმით, ეს აუცილებლობით იყო გამოწვეული, ვინაიდან 90 კილოგრამიან ღორთან პირდაპირი შეჯახება, ან მისთვის თუნდაც გვერდის ავლის მცდელობა, შესაძლოა მანქანის მძღოლისთვის ტრაგიკულად დასრულებულიყო.

– გულახდილად ვიტყვი, ღორის შესაძლებლობები სათანადოდ ვერ შევაფასე, – აღიარა კონსტებელმა ჯერი კრეინმა. მცდელობა, ცხოველი პოლიციის მანქანაში შეეთრიათ, სრული კრახით დასრულდა. ღორთან ჭიდილმა მხოლოდ ის შედეგი გამოიღო, რომ კრეინი ერთიანად ტალახში ამოისვარა, ცხოველს კი გზიდან ფეხი არ მოუცვლია. ოფიცერი იძულებული გახდა დამატებითი ძალები გამოეძახა.

ერთობლივი ძალისხმევით პოლიციელებმა ღორის დაჯაბნა შეძლეს, ის საქონლის გადასაყვან სატვირთოში შეაგდეს და მის პატრონს მიუყვანეს. როგორც გაირკვა, ღორი ერთ-ერთი ადგილობრივი მცხოვრების სახლის უკანა ეზოდან გაიქცა, რომლის ღობეც გაანგრია. ღობის შეკეთებამდე ცხოველი მეზობელ ფერმაში გადაიყვანეს.

აგრესიულმა ბატმა კანადელს მანქანის გასაღები მოჰპარა

კანადელი იძულებული გახდა დაპირისპირებოდა ბატს, რომელმაც მას ავტომობილის გასაღები ააცალა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

ინციდენტი ალბერტის პროვინციის ქალაქ ედმონტონში მოხდა. დაზარალებული როდესაც მიხვდა, რომ ფრინველს მისთვის მოპარული მანქანის გასაღებს ვერ წაართმევდა, სახანძრო სამსახურს დაურეკა, რომელიც ჩვეულებრივ ასეთი საქმეების მოგვარებითაა დაკავებული. თუმცა კანადელს მაშველებმა დახმარებაზე უარი უთხრეს, ვინაიდან იმ მომენტში გზააბნეულ ცხენირემთან გამკლავებით იყვნენ დაკავებულები.

კანადელმა ამის შემდეგ პოლიციაში დარეკა და პატრული შემთხვევის ადგილზე ორ წუთში მივიდა. კონფლიქტის აღმოფხვრას 13 წუთი დასჭირდა. ინციდენტის შედეგად არავინ დაზარალებულა. როგორ აღმოჩნდა ავტომობილის გასაღები ფრინველის სიახლოვეს და რატომ გადაწყვიტა მან მისი მითვისება, უცნობია.

ასტროპრომნოზი

2 მაისისათვის

ვერძი – უმიზეზო განგაშის შეგრძნება გაქვთ. საკუთარი თავით უკმაყოფილო ხართ. პასუხისმგებლობას სხვას ნუ დააკისრებთ. **კურო** – იაქტიურეთ. საკუთარი ტალანტის წარმოსაჩენად ძალას ნუ დაზოგავთ. დრო რაციონალურად გაანაწილეთ. **ტყუპები** – საკმაოდ დაძაბული დღეა. ნუ იქნებით პრეტენზიული. საკუთარ თავს კრიტიკულად მიუდექით. **კირჩხიბი** – მამაკაცებს სასიცოცხლო პოტენციალის დაქვეითების გამო პირად ცხოვრებაში სირთულეები გელით. ყურადღებით იყავით საქმიან ქაღალდებზე ხელმოწერისას. **ლომი** – ოჯახური ურთიერთობები საკმაოდ დაძაბულია. მამაკაცები პლანეტების მფარველობას იგრძნობთ. **ქალწული** – კეთილისმყოფელი დღეა კოლექტიური მუშაობისათვის. ძალები დაზოგეთ. **სასწორი** – ჰარმონიული დღეა. სულიერ სიმშვიდეს ვერაფერი დაგირღვევთ. ყურადღების ცენტრში ხართ. **ღრიანკალი** – კრიტიკული დღეა. შეცდომა არ გეპატიებათ. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებამდე მოსალოდნელ შედეგებზე დაფიქრდით. **მშვილდოსანი** – სამსახურში დაკისრებული მოვალეობა პირნათლად შეასრულეთ. დაუფიქრებელ ნაბიჯს ნუ გადადგამთ. **თხის რქა** – განიწმინდეთ ზნეობრივად. მორალური პრინციპები მტკიცედ დაიცავით. ** მერწყული** – პროფესიული პრობლემებით ხართ დაკავებული, რის გამოც პირად ცხოვრებაში სიტუაცია გეძაბებათ. ზომიერება დაიცავით. **თევზები** – წარმატებული დღეა, თუ, ცხადია, არ იზარმაცებთ და დაწყებულ საქმეს ბოლომდე მიიყვანთ. ნუ დაივიწყებთ ახლობლებს.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვორდი ბ



შვეულად: 1. 50-იანი წლების პოპულარული საბჭოთა ავტომობილი; 2. ძველებური დაბალყელიანი რბილი ტყავის ფეხსაცმელი; 3. სამონასტრო კომპლექსი გურიაში; 4. ვაზის, ღვინის პატივსაცემი დღესასწაული ძველად საქართველოში; 5. ფეოდალი მთავრების სახელწოდება შუა საუკუნეების საქართველოში; 8. ფრანგი მოქანდაკე; 9. სხვადასხვა ფერის მინის მსგავსი არაგამჭვირვალე ნივთიერება ლითონის საგნების ზედაპირის დასაფარად; 12. ძმარში ჩადებული მოხარშული ღორის ჩლიქებისგან მომზადებული საუზმეული; 14. მწვანეთი მოსილი წყლიანი ადგილი უდაბნოში; 16. მონასტერი ოჩამჩირის რაიონში.

თარაზულად: 1. ბულგარეთში მდებარე ქართული მონასტერი; 6. ავადმყოფური ღრმა ძილის მდგომარეობა; 7. პატარა დროშა, ალამი; 9. ღვთისმშობლის სახელწოდება კათოლიკეებში; 10. დარიშხანის საბადო ლენტეხის რაიონში; 11. ჩინეთსა და შორეულ აღმოსავლეთში გავრცელებული სამკურნალო მცენარე; 13. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 15. სახელმწიფო აფრიკის ჩრდილოეთში; 17. წითელი ფერის ძველი სახელწოდება; 18. ტერიტორიული ერთეული რუმინეთში; 19. გოეთეს ტრაგედია; 20. ხალხის მასობრივი შეკრება რაიმე პოლიტიკური საკითხის განხილვისთვის.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ჰუმუსი; 2. კივი; 3. არბიტრაჟი; 4. ანეტო; 5. ლიფსიტა; 8. თუთუნი; 9. ბალახვანი; 12. ფესახი; 14. თაბახი; 16. იმაგო;

თარაზულად: 1. „ჰაინიკენი“; 6. კრიჟანგი; 7. მზითევი; 9. ბოლიდი; 10. ხოტი; 11. სუფრული; 13. თეთრა; 15. თეზისი; 17. ჭიდაობა; 18. კაპელა; 19. ბრეხტი; 20. მოციონი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ზუროსი; 2. სირმა; 3. ტვისტი; 4. ჯილღაო; 6. „პალიტრა“; 9. ზებრა; 11. ტაიფუნი; 15. სუბმარინა; 16. შატილი; 17. კელასური; 19. ეშელონი; 21. დიქსონი; 22. ალდაგი.

თარაზულად: 5. წუწურაქი; 7. „ამსტელი“; 8. ალონსო; 10. ჰეკმანი; 12. აიეტი; 13. ჭვავი; 14. ჯვრისწერა; 19. სუფლე; 20. „შანელი“; 23. ქლიავი; 24. ქისი; 25. კალასი; 26. გენი; 27. სნუკერი.

მაიკო კაჭკაჭიშვილი ნაჩუქარი ბინის გადაცემას ითხოვს



კომპოზიტორ მაიკო კაჭკაჭიშვილს რამდენიმე თვის წინ ერთ-ერთმა სამშენებლო კომპანიამ ბინა აჩუქა. როგორც ჩანს, ბინა ხელოვანს მხოლოდ ფურცელზე აჩუქეს, რადგან მარტში ჩასაბარებელი ბინა ჯერ კიდევ არ ჩანს.

მაიკო კაჭკაჭიშვილი:

– მოკლედ, ბინა, რომელიც მაჩუქეს, გახსოვთ ალბათ, მარტში უნდა ჩამბარებოდა... პიარმენეჯერი მემალება. ჯერ ისე „ლაითად“ გავაჟღერე და ცოტა ხანში თუ არ გაირკვა, რა და როგორ, ცუდად მოვიქცევი ძალიან... კონტრაქტი სახლში მაქვს, იმედია, შეასრულებენ.

სასამართლოები მეზარება და იქნებ ეს ჩემი განცხადება გადასცენ.

ეროვნული ბანკის ისტორიული შენობა გამოჩიჩქნეს

ამ განცხადებას რეჟისორი და მხატვარი მაია კიკაბიძე აკეთებს:

– ძეგლთა დაცვა მოკვდა!!!

ეროვნული ბანკის უნიკალური, ისტორიული და ყველაზე განსხვავებული შენობა, რომლის არქიტექტურის მსგავსი საქართველოში არ არსებობს, გამოჩიჩქნეს! შიდა მოხატული კედლები ჩამოფხიკეს, ფანჯრები დახსნეს და, ვინც არ იცის, იმათ აგოიმებენ, რომ რესტავრაცია კეთდება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს რა გაუჭირდა, რომ სხვა შენობაში ვერ დაისადგურებდა. რატომ მიმდინარეობს თბილისის არქიტექტურის „ევრორემონტიზაცია“? რატომ კლავთ უნიკალურ შენობებს? რა დაგიშავათ თბილისმა?

„მხოლოდ ქართული“ ქრისტინე ჯაფარიძემ დატოვა

მუსიკალურ შოუს „მხოლოდ ქართული“ პირველი კონკურსანტი გამოეთიშა. მაყურებლისა და ჟიურის გადაწყვეტილებით, ყველაზე ცოტა ქულა 18 წლის ქრისტინე ჯაფარიძემ დააგროვა.

სიმღერასთან ერთად, ხატვასა და ცეკვაზე შეყვარებულ გოგონას არ გაუმართლა და შოუს გამოეთიშა. უკვე მეორე საკონკურსო ტურია, ლიდერი საბა კემულარიაა.

მეორე მუსიკალურ კონკურსში მონაწილეებმა ალექსანდრე ბასილაიას, მამუკა ჩარკვიანის, რომა რცხილაძის, ვაჟა დურგლიშვილის, ჯემალ სეფიაშვილისა და სხვა ცნობილი ქართველი კომპოზიტორების ლეგენდარული სიმღერები შეასრულეს.

ქრისტინე ჯაფარიძე:

– პროექტში მოსვლა, ვერ ვიტყვი, რომ სპონტანურად გადავწყვიტე. დიდი სურვილი მქონდა, ასეთ მუსიკალურ შოუში მიმეღო მონაწილეობა და, როდესაც გამოცხადდა კასტინგები, მივხვდი, რომ ეს პროექტი, თავისი გამორჩეული ფორმატით, ძალიან ღირებულ გამოცდილებას მომცემდა.

საოცარი მოლოდინები და ემოციები მქონდა. აქ შეუდარებელ მუსიკოსებთან ერთად მომიწია მუშაობა, რომელიც უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს და ვიტყოდი, რომ ჩემი აქ მოსვლის უმთავრესი მიზანიც სწორედ ეს იყო.

რა თქმა უნდა, საკუთარ თავზე საუბარი რთულია, თუმცა გამორჩეულობაში შეიძლება ჩაითვალოს, რომ პასუხისმგებლობის გრძნობა უმაღლეს დონეზე მაქვს განვითარებული და ყოველთვის ვცდილობ, მაქსიმალური გავაკეთო.

სამგლოვიარო განცხადებები

ჩემს უსაყვარლეს ძმისშვილებს პართენსა და რუსლანს უსაზღვრო მონატრებით

უკვე მიიწურა ხუთი გაზაფხული,
დღემდე ბუდეში ვერ ჩამისვია გული.
მონატრებას ვერა, ვერ დავუდე ზღვარი,
ნუთუ გამთელდება ოდეს გულზე ბზარი?!
ტრაგედიამ მწარედ დაგვამწუხრა ყველა,
უთქვენობის განცდას განა აღწერს ენა?
... მიზეზს ვერ ვპოულობთ, რატომ გაწყრა ზენა!

გივი გულორდავას ოჯახი

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

რეზო გაბრიაძე ქუთაისში ახალ ანიმაციურ ფილმს აჩვენებს



სცენარისტი, რეჟისორი და მხატვარი, რეზო გაბრიაძე, მშობლიურ ქუთაისში ახალ ანიმაციურ ფილმს აჩვენებს.

ხელოვანი ერთგულ მაყურებელს 3 მაისს თეთრ ხიდზე ეპატიჟება, სადაც სრულმეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის „ჰარი-ჰარალე, დედაო!“ ჩვენება გაიმართება.

ეს არის ბიოგრაფიული ფილმი, რომელიც გადაღებულია რეზო გაბრიაძის მოთხრობების მიხედვით.

სწორედ 3 მაისს ქუთაისში, თეთრ ხიდზე, შედგება საპრემიერო ჩვენება საქართველოში, 6 მაისიდან კი ფილმის ნახვა გაბრიაძის თეატრში იქნება შესაძლებელი.

„ჰარი-ჰარალე, დედაოს“ პრემიერა მოსკოვში უკვე გაიმართა და რეზო გაბრიაძის ახალმა ნამუშევარმა დიდი მოწონება დაიმსახურა. 3 მაისიდან კი ქართველი ხელოვანის ნამუშევრის შეფასება უკვე ქართველებსაც შეეძლებათ.

ქართველმა მომღერლებმა ჩინეთში ქართული დროშა ააფრიალეს

ჩინეთში ქართველმა ოპერის მომღერლებმა ინგა ჯახუტაშვილმა, ბაჩოოთარ ნაკაშიძემ და გიორგი ჭელიძემ ნამდვილი ფურორი მოახდინეს. მათ მონაწილეობა მიიღეს ჯუზეპე ვერდის ოპერაში „რიგოლეტო“.

დარბაზში შეკრებილმა მსმენელმა ქართველი მომღერლები ხანგრძლივი აპლოდისმენტებითა და ბრავოს შეძახილებით დაასაჩუქრა, ქართველებმა კი სცენაზე საქართველოს დროშა ააფრიალეს.

ბაჩო ოთარ ნაკაშიძე:

– მადლობა უფალს. ძალიან ბედნიერი ვარ დღეს ჩემი დებიუტით რიგოლეტოს პარტიაში! დღეს მორიგი ქართული წარმატება შედგა უცხოეთში! გილოცავთ, გიორგი და ინგა!

ინგა ჯახუტაშვილი:

– ნამდვილად ბედნიერი ვიყავი და გახარებული ამ შორეულ ქვეყანაში, სადაც ვერდის ოპერა „რიგოლეტო“ შედგა! ბედნიერი იმით, რომ ყველამ ჩვენ, ბაჩო ოთარ ნაკაშიძემ, გიორგი ჭელიძემ და მე, წარმატებულად წარმოვაჩინეთ ჩვენი როლები.

მაგრამ მინდა, განსაკუთრებულად აღვნიშნო ბაჩოს გამოსვლა რიგოლეტოს როლში! ეს იყო შეუდარებელი ნამღერი მაღალი კლასითა და სკოლით! ულამაზესი ხმითა და ტემბრით! მასტერკლასი ჩაატარა დღეს ბაჩომ! მთელი დარბაზი ფეხზე დაუდგა და ტაშს უკრავდნენ შეძახილებით: ბრავო ბრავო ბრავო!

ვიტყოდი, დაგლიჯა, ისე იმღერა! გილოცავ და უფრო დიდ სცენებზე მოესმინოთ შენი ლამაზი ხმა და ტემბრი მსოფლიოს!

გიორგი ლეონიძის სახლ-მუზეუმს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ პატარძეულში მდებარე გიორგი ლეონიძის სახლ-მუზეუმს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორ ნიკოლოზ ანთიძის შესაბამისი ბრძანებით კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

სახლი გიორგი ლეონიძის მამის, ნიკოლოზის, მიერ არის აშენებული, რომელიც პატარძეულში წმინდა შიოს ტაძარში საწირველად XIX საუკუნის 60-იან წლებში გადაიყვანეს. სახლს სრულად აქვს შენარჩუნებული ნიკოლოზისეული სახლის სახე. 1968 წლიდან შენობა გიორგი ლეონიძის სახლ-მუზეუმად გამოცხადდა.

ორსართულიანი სახლი ნაგებია რიყის ქვითა და აგურით დუღაბზე. ორივე სართულზე ორ-ორი ერთმანეთის გვერდით განლაგებული ოთახია, რომლებიც ერთმანეთს შიდა კარით უკავშირდება. სახლის ზურგის კედელი ყრუა. ეზოს მხრიდან ორივე სართული ოთხ-ოთხი სარკმლითა და ორ-ორი კარითაა გახსნილი. პირველი სართულის გვერდითა კედლები ყრუა, მეორე სართულზე კი სარკმლებია გაჭრილი. მეორე სართულს წინ მთელ სიგრძეზე ხის აივანი გასდევს, რომელზე ასასვლელიც გვერდით მიდგმული ორნაწილიანი კიბითაა. აივანი ხის სვეტებზეა დაყრდნობილი. პირველ სართულს აგურის ფილაქანი აქვს აივნად. დასავლეთის მხარეს, აივნის ქვეშ, ღია ბუხარია გაკეთებული. პირველი სართულის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეზე კონტრფორსია მიდგმული.

პირველ სართულზე მდებარე ოთახები სამზარეულო და სარძევე იყო. ამჟამად სარძევე ოთახში მუზეუმის ადმინისტრაციული ოთახია განთავსებული, მეორე სართულზე საცხოვრებელი ოთახებია. პირველი და მეორე სართულის თითო ოთახში თაღოვანი ბუხრებია.

სახლს აღმოსავლეთიდან მიდგმული აქვს მარანი. მარნის ზურგის კედელზე თახჩებია გაკეთებული, ხოლო სახლის კედელზე ხის დიდი საწნახელია მიდგმული. მიწატკეპნილ იატაკში ქვევრებია ჩაყრილი. მარანი ხის ორფერდა სატრდებებზე დალაგებული კრამიტითაა გადახურული.

სახლს აქვს თავისი საგვარეულო ეზო, რომელიც ხის ღობითაა შემოღობილი. ჭიშკარი ხისაა. გოგლას საგვარეულო ეზო ახლა ორ ნაწილადაა გაყოფილი. მათ ერთმანეთისგან სოფლის ორღობე ყოფს. სახლის ეზოსგან მოწყვეტილი ნაწილი ასევე შემოღობილია და ახლა იქ მხოლოდ სველი წერტილი დგას.

სახლში დაცულია: გოგლას საწოლი ტახტი, დიდი საოჯახო ტახტი, რომელზეც დაიბადა გოგლა, პოეტის საგვარეულო ავეჯი, მისი კოსტიუმი, პირადი ნივთები და ასევე ლადო გუდიაშვილის ორი ნახატი, გოგლას ორი პორტრეტი.

სახლი წარმოადგენს XIX საუკუნის მეორე ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოს სოფლისთვის დამახასიათებელი სახლის ტიპის მშვენიერ ნიმუშს, რომელსაც თითქმის სრულად აქვს შემონახული თავდაპირველი სახე და, ამდენად, ის ეთნოგრაფიული ძეგლის ნიშნის მატარებელია.

ლედი გაგა თამუნა ინგოროყვას კოსტიუმში პოზირებს

მსოფლიოში ცნობილი მომღერალი, ლედი გაგა, თამუნა ინგოროყვას კოსტიუმში პოზირებს. ლედი გაგა ქართველი დიზაინერების შემოქმედებას კარგად იცნობს. ჯერ იყო და გიორგი ქებურიას კაბასა და სათვალეებში იპოზიორა, შემდეგ ავთანდილის კოსტიუმი მოირგო, ახლა კი თამუნა ინგოროყვას ქურთუკში გამოიპრანჭა.

ლედი გაგამ ქართველი დიზაინერის ქურთუკში გადაღებული ფოტო ინტერნეტში გაავრცელა და უამრავი მოწონება დააგროვა. ქურთუკი, რომელიც ლედი გაგას აცვია, თამუნა ინგოროყვამ 2018 წლის გაზაფხული-ზაფხულის კოლექციისთვის შექმნა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ავსტრალიის საერთო საცხოვრებლიდან დამპალი ხილის გამო ევაკუაცია განხორციელდა

მელბურნის უნივერსიტეტის სტუდენტების და მასწავლებლების ევაკუაცია მას შემდეგ განხორციელდა, როდესაც უცნაური სუნის თაობაზე შეტყობინება გავრცელდა. ამ ინფორმაციას ავსტრალიის ვიქტორიას შტატის სახანძრო სამსახური ავრცელებს.

ექსტრემალურ სამსახურში შეტყობინება უნივერსიტეტის ქალაქიდან ადგილობრივი დროით დაახლოებით 15:00 საათზე შევიდა. თვითმხილველთა თქმით, უსიამოვნო სუნი საერთო საცხოვრებლის ბიბლიოთეკიდან გავრცელდა. დაიწყო გამოძიება, ვინაიდან სასწავლო დაწესებულების ტერიტორიაზე პოტენციურად სახიფათო ქიმიური ნივთიერებები ინახება.

ევაკუაციის შემდეგ მეხანძრეებმა ტერიტორია გამოიკვლიეს და დაადგინეს, რომ უსიამოვნო სუნის წყაროს გაფუჭებული ხილი დურიანი წარმოადგენდა, ის კარადაში იდო, ხოლო მის სუნი კამპუსში სავენტილაციო სისტემიდან გავრცელდა.

უნივერსიტეტი ისევ გაიხსნა. გარემოს დაცვის სამსახური დაწესებულების შემოწმებას ატარებს, რათა გაარკვიოს, რამდენად სწორად არის ორგანიზებული ნარჩენების შენახვა-გატანის საქმე.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

2 მაისისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ
დოლარი
— 2.457

ევრო
— 2.9713

ინგლისური გირვანქა
სტერლინგი
— 3.3708

100 რუსული
რუბლი
— 3.9094

ამინდის პროგნოზი 2 მაისისთვის



3 მაისიდან

„50 ცნობილი ქართველი ქალის 300 რეცეპტი“

წიგნი ა4 ფორმატისაა, აქვს მაგარი ყდა, დაბეჭდილია ცარცის ქაღალდზე და მთლიანად ფერადია.

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

ანეკდოტი

ფსიქოანალიტიკოსი მამაკაცს ეკითხება:

– თუ შეიძლება მითხარით, გუშინ ძილში სიზმარი თუ ნახეთ?

– არ მახსოვს, შეიძლება ვნახე.

– იქნებ ძილში თევზი დაგესიზმრათ?

– არა...

– და რა დაგესიზმრათ?

– ქუჩაში მივდიოდი...

– და იქ ორმოები, თხრილები და გუბეები იყო?

– არ მახსოვს...

– მაგრამ, შეიძლება, რომ ყოფილიყო?

– ვფიქრობ, თხრილში სადმე გუბე იქნებოდა...

– და იმ გუბეებში შეიძლება თევზი ყოფილიყო?

– არა მგონია...

– და სიზმარში რომ მიდიოდით, იმ ქუჩაზე რესტორანი იყო?

– შეიძლება იყო რესტორანი...

– და რესტორანში თევზი ჰქონდათ?

– ვფიქრობ, რესტორანში თევზი ექნებოდათ...

– ასეც ვიცოდი! თევზი სიზმარში! მე ხომ თავიდანვე გითხარით!..

●●●

ფსიქოლოგი ქმარს ურჩევს:

– როდესაც შეატყობთ, რომ ცოლთან კამათი მწიფდება, შეეცადეთ მასზე მაღლა აღმოჩნდეთ.

– სულ მაგას ვაკეთებ ექიმო, კარადის თავზე მივძვრები...

●●●

გინეკოლოგი გაცივდა და ყელი სტკივა. მასთან მიღებაზე მისულ ქალს დაბალ ხმაზე ეუბნება:

– გაიხადეთ და დაწექით.

ქალმა გაიხადა და დაწვა, შემდეგ კი ექიმს ისიც თითქმის ჩურჩულით ეკითხება:

– თქვენ რატომ არ იხდით?

●●●

სკამზე გვერდიგვერდ ორი მამაკაცი ზის. ერთი ეუბნება:

– როგორ მინდა განმარტოვება, მარტო დარჩენა, ხალხისგან შორს, სიჩუმეში, წყალთან ახლოს, ჩავფიქრდე, ამის მერე თავს ყოველთვის უფრო მსუბუქად ვგრძნობ.

– ტუალეტს ეძებთ? აი იქ არის, პირდაპირ და მერე მარცხნივ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

-გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
-ნერვულისისტემა, ხერხემალი, სახსრები
-კანის დაავადებები
-უროლოგია
-გინეკოლოგია

მისამართი -ქ. თბილისი, დ.ყიფიანის ქ. 2
ტელეფონი - 2 47 91 12
10:00 – 19:00 სთ. შაბათ -კვირის ჩათვლით

19 აპრილიდან

თან საკითხავი

120 ამბავი ალექსანდრე მაკედონელი

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

პრინცმა უილიამმა და კეიტ მიდლტონმა ახალშობილს ლუი დაარქვეს

ბრიტანეთის პრინცმა უილიამმა და მისმა მეუღლემ კემბრიჯის ჰერცოგინია კეტრინმა თავიანთი ახალშობილი შვილის სახელი გამოაცხადეს. ამ ინფორმაციას კენსინგტონის სასახლე, რომელიც წყვილის ოფიციალურ რეზიდენციას წარმოადგენს, ტვიტერში საკუთარ გვერდზე აქვეყნებს.

ბავშვს ლუი არტურ ჩარლზი დაარქვეს მისი პაპის, უელსის პრინც ჩარლზის და ადმირალ ლუის მაუნტბეტენის, ბიძის და დამრიგებლის ედინბურგის ჰერცოგის ფილიპის, ელისაბედ II პატივსაცემად.

ის იქნება „მისი სამეფო უდიდებულესობა ლუი კემბრიჯელის“ ტიტულის მფლობელი და მეხუთე ადგილს დაიკავებს ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრეთა რიგში პაპის, მამის, უფროსი ძმის და დის შემდეგ.

შეგახსენებთ, რომ პრინცი ლუი 23 აპრილს ლონდონის წმინდა მარიას საავადმყოფოში დაიბადა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბრაზილიელმა რონალდომ ანდრეს ინიესტა შეაქო

ბრაზილიელმა ლეგენდარულმა ფეხბურთელმა ლუის ნაზარიო დე ლიმამ, ანუ რონალდომ ანდრეს ინიესტაზე ისაუბრა და თქვა, რომ ინიესტა მსოფლიო საფეხბურთო ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია და ის ოქროს ბურთს იმსახურებდა.

– ანდრეს ინიესტა უნიკალური ფეხბურთელია და მსგავსი მოთამაშეები დღეს იშვიათობაა. ის იმსახურებდა თავის დროზე ოქროს ბურთს, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ამის გამო ანდრესი არ დარდობს, რადგან ის საკმარისად დაფასებულია, – განაცხადა რონალდომ.

ერთი კვირის წინ ცნობილი გახდა, რომ სეზონის ბოლოს ინიესტა ბარსელონას დატოვებს და კარიერას სხვა კლუბში გააგრძელებს.

ჟორდი ალბა: „რეალს დერეფნის გაკეთება აუკრძალეს“

ბარსელონის მცველმა ჟორდი ალბამ კომენტარი გააკეთა იმ ფაქტზე, რომ მადრიდის რეალი უარს აცხადებს ბარსელონისთვის საჩემპიონო დერეფნის გაკეთებაზე.

ალბას აზრით, ამაში დამნაშავე ფეხბურთელები არ არიან, რადგან ასეთ საკითხებზე გადაწყვეტილებებს ხელმძღვანელობა იღებს:

– დარწმუნებული ვარ, ფეხბურთელები ამის წინააღმდეგნი არ იყვნენ, მაგრამ ხელმძღვანელობამ მათ დერეფნის გაკეთება აუკრძალა. ანალოგიურ სიტუაციაში ბარსელონა აუცილებლად გააკეთებდა დერეფანს.

პატრიკ შიკი: „ლივერპულის კარში 3 გოლის გატანა შეგვიძლია“

რომას ჩეხმა ფორვარდმა პატრიკ შიკმა ლივერპულთან განმეორებით შეხვედრაზე ისაუბრა და თქვა, რომ მის გუნდს შეუძლია ლივერპულის კარში სამი გოლის გატანა.

შიკის აზრით, ლივერპულს არცთუ ისე ძლიერი დაცვა ჰყავს.

– ჩვენ შევძელით და ბარსელონას გავუტანეთ 3 გოლი. იმავეს გაკეთება ლივერპულის წინააღმდეგაც შეგვიძლია, თან ლივერპულს გაცილებით ძლიერი შეტევა ჰყავს, ვიდრე დაცვა. გულშემატკივრის დიდი იმედი მაქვს, რომელიც 90 წუთის განმავლობაში ჩვენ გვერდით იქნება, – განაცხადა პატრიკ შიკმა.

რობერტო მანჩინი 20 მაისს იტალიის ნაკრების მწვრთნელი ოფიციალურად გახდება

რობერტო მანჩინის იტალიის ნაკრებში დანიშვნა უკვე ოფიციალურად დადასტურდა. მანჩინიმ განცხადება გააკეთა, რომლის მიხედვითაც, ის ოფიციალურად იტალიის ნაკრებს 20 მაისს ჩაიბარებს.

მანჩინის თქმით, ის ძალისხმევას არ დაიშურებს იმისთვის, რომ იტალიის ნაკრებს ძველი დიდება დაუბრუნოს და ისევ ისეთი ძლიერი გახადოს, როგორიც ადრე.

ამ პოსტზე კარლო ანჩელოტის კანდიდატურაც განიხილებოდა, მაგრამ მან უარი თქვა, რის შემდეგაც საბოლოოდ გაირკვა, რომ იტალიის ნაკრებს რობერტო მანჩინი უხელმძღვანელებს.

სალაჰი პრემიერ ლიგის საუკეთესო ფეხბურთელია

ინგლისელ ჟურნალისტებს შორის გამოკითხვა ჩატარდა, სადაც 400-ზე მეტი ჟურნალისტი მონაწილეობდა და პირველ ადგილზე ლივერპულის ეგვიპტელი შემტევი მოჰამედ სალაჰი გავიდა, მეორე ადგილი კი კევინ დე ბრუინმა დაიკავა, რომელმაც, თავის მხრივ, ჰარი კეინს გაასწრო.

სალაჰი წლევანდელ სეზონს შესანიშნავად ატარებს და მის ანგარიშზე უკვე 31 გატანილი გოლია, რომლის წყალობითაც სალაჰი პრემიერ ლიგის საუკეთესო ბომბარდირია.

სალაჰი სხვა ტურნირებშიც ძალიან შედეგიანია და ის ლივერპულის ლიდერად ჩამოყალიბდა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. განუხორციელებელი ოცნება, ფანტაზია; 2. მონასტერი სიღნაღის რაიონში; 3. ჰომეროსის ეპიკური პოემა; 4. ისტორიული ციხე-ქალაქი კახეთში; 6. ავსტრიელი კომპოზიტორი; 9. ხის ზედა განტოტილი ნაწილი; 11. საბერძნეთის პრემიერ-მინისტრი; 15. მთავარი მოედანი ირანის ქალაქებში; 16. ცეცხლსასროლი იარაღის ჩასადები ტყავის ბუდე; 17. ისლამის ფუძემდებელი; 19. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 21. ქალაქი ბულგარეთში, სადაც იმართება იუმორის ფესტივალი; 22. უარყოფითად დამუხტული იონი.

თარაზულად: 5. ქუჩაში დამონტაჟებული სახანძრო ონკანი; 7. ქალაქის ელექტროტრანსპორტი; 8. ქალაქ თბილისის მერი; 10. ერთმანეთში შეგროვილი ფულით ქეიფი ძველ თბილისში; 12. ბრიტანეთში მოღვაწე ქართველი ესტრადის მომღერალი ქალი; 13. ქიმიური ელემენტი, მეტალი; 14. კიდული რკინიგზა; 18. გადახურული სავაჭრო მოედანი ძველ თბილისში; 20. გარდაუვალი ბედი, ბედისწერა; 23. მდინარე ციმბირში; 24. ფეხბურთის მცველის ძველებური სახელწოდება; 25. კლიმატური კურორტი ხაშურის რაიონში; 26. ემილ ზოლას რომანი; 27. კუთხე საქართველოში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა